ეროვნული თავისუფლების გზით - პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.
№43 (1481) 20-23 სექტემბერი, 1996 წელი

## ანონიმი ავტორი დემურ ღვალიშვილის სენსაციური დღიურის გადმოცემას გვპირდება



რედაქციაში სატელეფონო ზარის ხმა გაისმა.

ეს თითქმის ყოველწუთიერი და ჩვეულებრივი ზარი მოულოდნელად სენსაციური ამბის მაუწყებელი აღმოჩნდა.

თუ ანონიმის (საკუთარი ვინაობის გამჟღავნება დამრეკავმა არ ისურვა) ხმის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი საშუალო ასაკის, ინტელიგენტური ლექსიკით მოსაუბრე ადამიანი იყო.

მან პირდაპირ შემოგვთავაზა საქმიანი საუბარი.

კერძოდ, თუკი მას მის მიერ დათქმულ დროსა და ადგილზე ყოველგვარი საეჭვო გარიგებების გარეშე გადასცემდნენ 10000 ამერიკულ დოლარს, იგი მზად იყო რედაქციისათვის გადმოეცა საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი თავმჯდომარის, აწ განსვენებული დემურ ღვალიშვილის გახმაურებული დღიურის ასლი, რომლის შინაარსი ქვეყნის გასაიდუმლოებული და დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა.

დათქმულ ადგილას ანონიმი არ გამოცხადდა, სავარაუდოა, რომ საუბარზე დაყრდნობით იგუმანა, ნისიად რომ ვაპირებდით ამ დღიურის გამორთმევას და, ეტყობა, ახლა უფრო სარფიან კლიენტს ეძებს...

● ფაქტი, კომენტარი

## ვინ არის არძინბა რიგითი ქართველისათვის და ვინ არის იგი „პოლიტიკოსი" გენერლებისათვის?

რიგითი ქართველის თვალში არძინბა არის საქართველოს დაუძინებელი მტერი, რომლის დავალებით გაგრის სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით „თამაშობდნენ" მისი მებრძოლები.

არძინბა არის კაცი, რომლის მეთაურობით საქართველოს ჩამოჭრილი აქვს თავისი ძირძველი კუთხე და დახოცილი ან გამოდევნილია აფხაზეთიდან ურიცხვი ქართველი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კი ბატონი ვლადისლავი სამხედრო მანევრების დასათვალიერებლად მოუწვევია. მინისტრის მოადგილე გურამ ნიკოლაიშვილი „ალიას" კორესპონდენტთან საუბარში გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ არძინბა თავად კი არ გვეწვია, თურმე სამხედრო წარმომადგენლები გამოუგზავნია.

გენერლის თქმით, „სამხედრო სწავლებაზე აფხაზებმა ქართული ჯარის სიძლიერე იხილეს, რაც შემდგომ არძინბას მოახსენეს და საკმაოდ შეშფოთდნენ".

არ ვიცით, ამ შეშფოთების თვითმხილველი ვინ არის, ერთი კი დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ - თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის არნახული მეთოდი გამოუგონებია - იგი დღისით-მზისით, ოფიციალურად, ვგონებ, საკუთარი ხარჯებითაც იწვევს მტერს - მოდი, მნახე, რა მაგარი ვარო.

კი მაგრამ შეშინებულმა მტერმა დანებების ნაცვლად ხომ შეიძლება გადაწყვიტოს, ესენი მართლაც მომძლავრებულან, მოდი, მეც უკეთ მოვემზადები ომისთვისო. მოსამზადებლად დრო არ აქვთ თუ რა...

ომების ისტორიაში დღემდე ერთი მხარე მეორის მოდუნებას ცდილობდა, ახლა უფრო რაინდული ეპოქა იწყება, ჩვენი თავდაცვის სამინისტრო მეორის მომძლავრებაზეც ზრუნავს. ამათ, ვგონებთ, ისიც არ იციან, ჯერჯერობით ჩვენ რომ ვართ წაგებულნი და არა აფხაზები.



## ახლანდელ მძარცველებთან შედარებით მხედრიონელი ქურდები ყაყიტას ქურდები არიან

მესამე გვერდი

## ლიქნითა და სიცრუით გაჟღენთილი წიგნი ასლან აბაშიძეზე

მეხუთე გვერდი

## 11 მილიონი დოლარი უპატრონოდ

მერვე გვერდი

## მე-11 კლასელებისა და აბიტურიენტების საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ორშაბათის ნომრიდან გაგრძელდება ნოდარ გრიგალაშვილის „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების" გამოუქვეყნებელი წერილების ბეჭდვა.

მომდევნო ნომრიდან დაიწყება კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის" განხილვა.

**შეიძინეთ და შეინახეთ გაზეთი «საქართველო».**

## ვახტანგ ყოლბაიას განცხადება

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ პარლამენტის დადგენილების შესასრულებლად დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ ყოლბაიამ განუცხადა, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნა და სავარაუდო რეფერენდუმის ჩატარება დასტურია იმისა, რომ აფხაზური მხარე არც მომავალში აპირებს ვინმესთვის ანგარიშის გაწევას. პირიქით, ცდილობს განამტკიცოს სახელმწიფოებრიობა, ყველაფერს აკეთებს საქართველოსაგან დე-იურედაც სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ვ.ყოლბაიას თქმით, ვერ მოხერხდა ოკუპირებულ აფხაზეთში ადამიანის უფლებების არა მარტო დაცვა, არამედ ადამიანის უფლებების და სიცოცხლის ხელყოფის ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობაც კი. მისივე თქმით, პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შედეგად საერთაშორისო მეთვალყურეთა „მეთვალყურეობით" კვლავ გრძელდება დარჩენილი მოსახლეობის ძარცვა, ექსპლუატაცია და სხვ. მარტო გალის რაიონში მიმდინარე წელს ეთნიკური მიზეზით მოკლული იქნა 35 კაცი. ადგილი აქვს მძევლების მასობრივად აყვანას, განუკითხავად დაპატიმრებას და შეურაცხყოფას. ვ.ყოლბაიას განცხადებით, თითოეულ ფაქტზე განგაშის ატეხა ხორციელდება, როგორც წესი, ენთუზიასტთა მიერ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებით მთავრდება.

„არაფერს ვამბობ ფაქტების დამახინჯებულ ინტერპრეტაციაზე რუსეთის და საზღვარგარეთის მასმედიის რიგ ორგანოებში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოს მოქალაქე მსოფლიოს მოქალაქე არ არის და მასზე ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის მოთხოვნილებების შესრულება აუცილებელი არ არის. უფრო მეტიც, აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის გაეროს ინსტიტუტის შექმნის ჩვენი წინადადება მიღებული იქნა, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი რატომღაც ქალაქ სოხუმში განისაზღვრა", – აღნიშნა ვახტანგ ყოლბაიამ.

## მონაცემები გალის რაიონიდან

1993 წლის ოქტომბრიდან დღემდე გალის რაიონში, სადაც არ წარმოებდა საომარი ოპერაციები, აფხაზი სეპარატისტების მიერ დახოცილია 1500-მდე მშვიდობიანი ქართველი, ძირითადად მოხუცები, ბავშვები, ქალები, რომელთაც მოვლენათა მოულოდნელი განვითარებისა და ევაკუაციის გამოუცხადებლობის გამო ვერ მოასწრეს გახიზვნა და სეპარატისტ ჯალათებს ჩაუვარდნენ ხელში. აფხაზი სეპარატისტების მიერ მთლიანად გადამწვარია გალის ათობით საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა. დაქირავებული ბანდების მიერ გალის რაიონიდან მთლიანად გაზიდულია სულ მცირე 2 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების კერძო და სახელმწიფო ქონება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის გამგეობის მონაცემებით, აღნიშნულ რაიონში დარჩენილი და თავიდან შესული ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა 22-25 ათასს შეადგენს, რომელთა 50% მუდმივ მიგრაციაშია. ქგალში ამჟამად 3.000-მდე კაცი ცხოვრობს, ნაცვლად ადრე მაცხოვრებელი 18.000-სა.

## გალის რაიონის გამგებლის განცხადება

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის გამგებელმა მურმან ჭედიამ განუცხადა, უახლოეს ორ თვეში მოსალოდნელია აფხაზი სეპარატისტების იდეოლოგიური ზეწოლის გაგრძელება გალის რაიონის მოსახლეობაზე – სეპარატისტების მიერ მიმდინარე წლის 23 ნოემბერს დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით. მისივე თქმით, მოსალოდნელია ყოველგვარი შანტაჟი, პროვოკაცია და ტერორი. არ არის გამორიცხული, რომ დატერორებულ, უმწეო მოსახლეობას ძალით მიაღებინებენ მონაწილეობას არჩევნებში და სრულწლოვანებას მიღწეულ ახალგაზრდებს სეპარატისტულ ჯარში გაიწვევენ.

მ.ჭედიას თქმით, არჩევნების შედეგების ფალსიფიკაცია ასეთ ვითარებაში სავსებით ბუნებრივი იქნება. მართალია, სეპარატისტების ხელისუფლება არ იქნება ლეგიტიმური – საჭირო საელექტორატო ბაზის უქონლობის გამო, – მაგრამ თვით ფაქტი გალის რაიონის მონაწილეობისა არჩევნებში და უფრო უარესი – ახალგაზრდების გაწვევისა ჯარში – მეტად არასასურველი და დასანანი იქნება უთუოდ. მისივე აზრით, ეს ყოველივე უარყოფით როლს ითამაშებს აფხაზეთის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

მ.ჭედიას თქმით, ბორის პასტუხოვის განცხადება, რომ გალის რაიონში დაბრუნებულია 60-70 ათასი კაცი, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და ეს შეგნებულად გაკეთებული განცხადებაა აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლებისათვის მხარდაჭერის მიზნით, უკანონოდ დანიშნულ არჩევნებში.

იბერია

## რუსეთის უკანასკნელი შემოტევა

ნოდარ ნათაძე

დღეს 19 სექტემბერია, 1996 წელი. რაც კეთდება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, კეთდება. რაც გასაკეთებელია ამის საწინააღმდეგოდ, გასაკეთებელია. გასაკეთებელია დროულად. დღეს რუსეთი გეგმავს ახალ და, შესაძლოა, უკანასკნელ შემოტევას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რათა აიცილოს კავკასიიდან წასვლის აუცილებლობა. მისი იმედი ემყარება მხოლოდ ერთს - საქართველოში რუსეთის აგენტურის სიძლიერეს და მის მაღალ მდგომარეობას საქართველოს ადმინისტრაციაში. კერძოდ, განზრახულია - არაერთი წყაროს, არაერთი არგუმენტის და არაერთი მხარის აზრის თანახმად - შემდეგი:

1. ჩეჩნეთისაგან ყურადღების მოცილების მიზნით, რათა ჩეჩნეთის სტატუსის განსაზღვრამდე დარჩენილი ხუთი წელი მომგებიანად გამოიყენოს, რუსეთს უნდა, ყურადღების ცენტრში საქართველოში არსებული კონფლიქტები მოაქციოს. ამ თვალსაზრისით, საქართველოში დესტაბილიზაციის გაღვივება მისთვის თვითმიზანია.

2. რუსეთი, კონკრეტულად, გეგმავს ჩრდილო კავკასიელთა ომს საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე წლის წინ სუკ-ის მიერ შექმნილი „კავკასიელ მთიელთა კონფედერაციის" წინამძღოლობით, რომელსაც სათავეში უდგას სუკ-ის აგენტი, სულისკვეთებით ფუნდამენტალისტი (ამავე დროს სამღვდელო პირი), ეროვნებით, სამწუხაროდ, ჩეჩენი - სოსლანბეკოვი (მე ამ მსჯელობის უფლება მაქვს, რადგან მას არაერთხელ შევხვედრივარ). რუსული შეიარაღებითა და ხელშეწყობით მათ ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ზიანის მოტანა ძალუძთ.

3. ზემოხსენებული საშუალებით რუსეთს სურს დიდი სისხლის ჩამოგდება ჩვენს ქვეყანასა და ჩრდილო კავკასიას შორის, რათა ფსიქოლოგიურად შეუძლებელი გახადოს ჩვენს შორის მოქმედების კოორდინაცია სამომავლოდ.

4. ამ ანტიქართული ომის ასპარეზად მათ დაგეგმილი აქვთ აფხაზეთი და ცხინვალის ზონა, რაც პროპაგანდისტულად მიიღებს საქართველოს „იმპერიალიზმის" წინააღმდეგ ომის ფორმას და, შემდგომ ეტაპზე, გამოიწვევს საქართველოს რეალურ „ფედერალიზაციას" (სინამდვილეში - დაშლას) და ქართული თვითცნობიერების პროვინციულ დახლეჩას. სამწუხაროდ, პუნქტში „4" გადმოცემულ ზრახვას, ნაწილობრივ, საერთაშორისო შეთქმულების სახეც აქვს.

5. ამის შემდეგ (და, შესაძლოა, სინქრონულადაც) ხდება სეპარატისტული გამოსვლების ორგანიზება საქართველოს არაქართველი მოსახლეობის რეგიონებში და ეკონომიკური ნგრევის ახალი ხვეულის ორგანიზება, რითაც, საბოლოო ჯამში

ა) ან საქართველო თავისი (ძველი ან ახალი) მარიონეტული ხელისუფლების მეთაურობით აცხადებს უპირობო, ანუ სრულ კაპიტულაციას მოწინააღმდეგის წინაშე და, რუსეთის აგრესიული როლის დაუფიქსირებლად, თავის შეკვეცილ ტერიტორიაზე რაღაცა არაეროვნულ, ფსევდოდამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს ქმნის СНГ-ს (წაიკითხე: ახალი იმპერიის) შემადგენლობაში, ან

ბ) საქართველოს, როგორც ინტერესთა სუბიექტის, სრული უგულებელყოფით, ამიერკავკასიაში მყარდება ახალი წონასწორობა „ადგილობრივი" ძალების (ანუ რუსეთის და თურქეთის) შედარებით განმტკიცებული პოზიციებით არაადგილობრივის (ანუ დასავლეთის) პირისპირ.

უდავოა, რომ შეიარაღებული ძალისა და ბრძოლისუნარიანობის გარეშე ჩვენი ქვეყანა ფიზიკურად და პოლიტიკურად ვერ გადარჩება; უდავოა, რომ შევარდნაძის მთავარსარდლობით არც ომი, არც კონფლიქტი არ მოიგება; და უდავოა, რომ ნადიბაიძის მინისტრობით შეიარაღებული ძალა ვერ აშენდება. რეალური მოძრაობა საქართველოს გაძლიერების და, მაშასადამე, მისი ხსნის პროცესის დასაწყებად მხოლოდ მმართველი გუნდის და პოლიტიკის რადიკალური შეცვლით შეიძლება მოხდეს. ამისთვის საჭიროა:

ა) ჩრდილო-კავკასიისკენ ინტენსიური ტვირთბრუნვის გახსნა საქართველო-ჩეჩნეთის ღერძით და მუდმივი ურთიერთინფორმაცია და კონტაქტი, რათა აღიკვეთოს ჩრდილოეთიდან პროვოცირებული კავკასიურ-ქართული ომი. ჩრდილო კავკასიის დე ფაქტო განთავისუფლებული ზონა ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ ღერძით უნდა ჩაერთოს, მსოფლიოს ცხოვრებაში კი - ამიერკავკასიით და ფოთის პორტით (მაგრამ არა სოხუმის პორტით, როგორც მავანნი ოცნებობენ).

ბ) საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს რუსეთისადმი პოლიტიკური წინააღმდეგობის და ამ ქმედითი წინააღმდეგობის ბაზაზე – თანასწორი ან, სულ ცოტა, ურთიერთანგარიშის გაწევაზე დამყარებული პოლიტიკა (რისი საშუალებაც გვაქვს).

გ) დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის განვითარების პოლიტიკა

დ) საქართველოს დეოკუპაცია

ე) ყოვლისმომცველი კორუფციისა და ეროვნულმასშტაბიანი ღალატის სხვა ფორმების აღკვეთის პოლიტიკა (რაც სავსებით შესაძლებელია), ხელმძღვანელი კადრების სრული ან თითქმის სრული შეცვლა.

ხიფათი კარსაა მომდგარი და მისი პროვოცირების ნიშნები, აფხაზეთსა და შიდა ქართლში წარმოებული უსიტყვოდ კაპიტულანტური პოლიტიკის სახით, უკვე ჩანს. სიფხიზლე აუცილებელია, რათა ე.წ. „მკვეთრი მოძრაობებით" დღეს არსებული დროებითი მყიფე „წონასწორობაა" არ დავარღვიოთ. მაგრამ რაკი მისი დარღვევა გარდუვალია, (რადგან ეს მოწინააღმდეგის მიერ დამყარებული წონასწორობაა, რომელსაც თვითვე დაარღვევს, როცა დასჭირდება), თვითრეგულირების მექანიზმებზე ყველა საშუალებით უნდა ვიზრუნოთ, რათა დესტაბილიზაციის ახალი მოსალოდნელი ტალღის წინაშე სრულებით უძლურნი არ აღმოვჩნდეთ.

ჩვენი ნგრევის პროცესის შემობრუნება დღეს, სხვა ყველაფერზე სწრაფად, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ძალუძს.

## სალაროების დადგმა ნაადრევია და უნდა გადაიდოს! -

აცხადებს რომან გოცირიძე

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეზიდენტმა, ბატონმა რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ სავაჭრო და მომსახურების სფეროს ობიექტებისათვის მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან სალაროების აუცილებლად დადგმის მოთხოვნა არის მოუმზადებელი, არადროული და განსახორციელებლად შეუძლებელი გადაწყვეტილება.

საქართველოში ამჟამად არსებული ტექნიკური, ორგანიზაციული, საფინანსო და სხვა სახის გარემოება ამის შესაძლებლობას არ იძლევა. მიუხედავად ერთი შეხედვით კეთილი სურვილისა, მოხდეს შემოსავლების ლეგალიზაცია და ბიუჯეტში სახსრების მატება, აღნიშნული ღონისძიება დღევანდელ ვითარებაში უკუეფექტს გამოიღებს. ამჟამად ქვეყნისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ვაჭრობის თავისუფლების ხელშეწყობა, ახლადფეხადგმული სექტორის მხარდაჭერა, ვიდრე ის მცირეოდენი საბიუჯეტო ეფექტი, რასაც ამ ღონისძიებათა განხორციელებით ელიან.

ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება, ბ-ნ რომან გოცირიძის აზრით, გამოწვეულია არა მხოლოდ კეთილი სურვილებით. სალაროების იძულებით შეძენის მოთხოვნის უკან შესაძლოა იმალებოდეს ამ ტიპის მოწყობილობების საქართველოს ბაზარზე რეალიზატორთა დაინტერესება და მოსალოდნელი მრავალმილიონიანი შედეგი. გასათვალისწინებელია აგრეთვე სხვადასხვა სახის შემმოწმებელთა კერძო ინტერესები.

ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის და საკასო აპარატების შესაძენად ქართველმა მეწარმეებმა უნდა დახარჯონ დაახლოებით 20-25 მილიონი დოლარი. რაც არის ქვეყანაში არსებული ისედაც მწირი რესურსების ყველაზე არაეფექტიანად და არამიზნობრივად ინვესტირება, მითუმეტეს, როდესაც მოხდება ამ თანხის უდიდესი ნაწილის საზღვარგარეთ გადინება, რაც კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს.

კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრესცენტრი

# ვახტანგ გოგუაძე: ახლანდელ მმართველებთან შედარებით მხედრიონელი ქურდები ყაყიტას ქურდები არიან

### რედაქტორისაგან

როგორი მსაჯიაო? ჰკითხავთ არბიტრის შესახებ.

ეს ისეთი მსაჯია, მატჩის შემდეგ წაგებულიც რომ გასალახად იწევს და მოგებულიც.

ვერ არის სასიამოვნო დახასიათება არბიტრისა ხომ? გაზეთის რედაქტორი ხშირად, უნდა თუ არ უნდა, ამ არბიტრის მდგომარეობაში ვარდება.

აი, გამოქვეყნდა მთელი სერიალი ბატონ ვახტანგ გოგუაძის წერილებისა გაზეთ „საქართველოში", რითაც უკმაყოფილოთა მთელი არმია დავიპირისპირე.

საინტერესო ის არის, რომ ეს არმია ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური განწყობის პერსონების მთლიანობისაგან შედგება.

ზვიადისტებმა, – ხუნტის წარმომადგენლებს აძლევს სიტყვასო.

შევარდნაძისტებმა, – ახლა გახდა შევარდნაძე გოგუაძის საკრიტიკელიო? – ცხადია, არ მოიწონეს ამ ნიშნით პუბლიკაციები...

სხვებმა – თავს იმართლებს და თვალში ნაცარს გვაყრისო.

სხვებმა – ყველაფერს არ ამბობსო.

მთლად ჩემიანებმა – რა გააჭირეთ საქმე ამსიგრძე მონათხრობების ბეჭდვითო, ან არგუმენტირებული პასუხი სად არისო. ეს გოგუაძე შევარდნაძის ოპოზიციონერობას თამაშობსო.

და ა.შ. და ა.შ.

კვლავ ვიმეორებ, მე შემოვიღე რუბრიკა „ვინ იყო ვინ?"

„მასალები საქართველოს მომავალი მემატიანისათვის"

„იყო" და არა „არის", ვინაიდან ეს ყველაფერი მომავლის ისტორიკოსისთვისაც კეთდება.

კაცს, რომელსაც ქვეყნის მართვის საჭე ეპყრა ან უპყრია ხელთ, მინდა ვათქმევინო ყველაფერი, რასაც ეგებ მკვლევის გარეშე არც იტყოდა. ასეთი პირისაგან ტყუილიც საინტერესოა (რისთვის, რასთან მიმართებით ამბობს) და ცხადია, მართალიც.

ეს ერთი.

მეორეც. ვინ დაუშალა ოპონენტებს ვრცელი და არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენა? საინტერესოა, რატომ არავინ გამოჩნდა, ასეთ პასუხს რომ მოიტანდა რედაქციაში? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მძიმე შრომა და ღამეების თენება ყველას ეზარება, დეკლარაციულად რაღაცის დაწუნება ან მოწონება კი, გაგიხარიათ!..

მესამეც.

ვინც ჩემს წერილებს იცნობს, დამეთანხმება, გოგუაძის პუბლიკაციებს უამრავ რამეში არ შეიძლება ვეთანხმებოდე, მაგრამ მისი წინასერიალიც სიამოვნებით დავსტამბე და ამ ვრცელ ნახევრად პასუხსა და ნახევრად მოლოთქმასაც მნიშვნელოვანი შემოკლებით, მაგრამ სიამოვნებით ვბეჭდავ, რადგან არ მიმაჩნია სწორად ის აზრი, თითქოს ერთი და იმავე ავტორის ხშირი პუბლიკაციები მოსაწყენია. სხვადასხვა ავტორების წყალწყალა წერილებს, მე ისევ ერთის ჭკვიანური „ტროპიკანკა" მირჩევნია...

რა თქმა უნდა, უფრო გავიხარებ, თუ ასეთივე ჭკვიანური სერია დაისტამბება ოპონენტებისა.

დროა ხელჩართული ბრძოლებიდან აზრთა შეჯახებაზე გადავიდეთ.

პირველ შემთხვევაში ერს კატასტროფა ელოდება, მეორე კი ერის სულიერი სიჯანსაღისა და წინსვლის ნიშანია.

ასე რომ, რუბრიკა აგრძელებს თავისი ფუნქციის შესრულებას.

ახლო მომავალში მწარე კითხვებზე პასუხებით ბატონები ნუგზარ ფოფხაძე და ჯუმბერ პატიაშვილი წარსდგებიან „საქართველოს" მკითხველთა წინაშე.

ამაზე მათი თავაზიანი თანხმობა გვაქვს. შემდეგ და შემდეგ დაისტამბებიან სხვა პირებიც. მსგავსი კითხვები გაეგზავნება პრეზიდენტსაც. თუ თავს აარიდებენ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს, ესეც არაფერი. კითხვები გამოქვეყნდება სხვა რუბრიკით – „უპასუხო შეკითხვები"...

### ბატონო რედაქტორო!

მემუარებს ხომ არ დაემსგავსა ჩემი პასუხები? „მემუარების წერას ჯერ არ ვაპირებ. მემუარების წერას რომ შევუდგე, ცოტა გამოშტერებაა საჭირო" – თქვა ოთხმოცს მიტანებულმა შალვა ნუცუბიძემ.

გვესმის თუ არა ჩვენ ჩვენი დღევანდელობისა – „საკითხავი აი ეს არის".

„ვისაც ყური აქვს, ისმინოს" – სახარება რომ გვეუბნება, ეს ფიზიკურ ყურთასმენას კი არ გულისხმობს. ისმინოს, ესე იგი შეისმინოს, გაიგოს – ამას გულისყური, ხელი, ტვინი სჭირდება. სჯობს მაგალითები.

ერთი მეგობარი მთელი ახალგაზრდობის ჟამს საოკეანო გემზე მოხვედრას ოცნებობდა. შესწავლილი ჰქონდა ყველა ოკეანის ჭირვეულობა, ხასიათი. საათობით წაგიკითხავდა ლექციას ზღვის საოცრებაზე. ხეირიანად ზღვაც არ ენახა. სულ კუს ტბაზე ბანაობდა, ანკესობდა და ოცნებობდა. კუს ტბის მტკნარ ზედაპირზე ქარიშხლიანი ოკეანე ელანდებოდა. ერთ დღეს თავისი ბიძაშვილი დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან. ოთხი წელი იყო მეზღვაურად გამწესებული. მეოცნებე-ოკეანოლოგს ბიძაშვილის ნახვაზე მეტად ოკეანის ამბები აინტერესებდა. სირბილით გაეშურა მასთან.

– აბა, ახლა მომიყევი, რაც ნახე.

ოთხ წელს ნამსახურებმა მეზღვაურმა თავისი ნანახი გადმოსცა მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი ნაამბობით:

– ყინულოვანი ოკეანის გარდა ყველა ოკეანე მოვიარე. ოთხი წლის წინათ, პირველად, სევასტოპოლიდან რომ გაგვიყვანეს, გადავდექი გემბანზე, გული ისე მერეოდა, რაც შავ ზღვაში თევზი იყო, ინდოეთის ოკეანემდე მისდევდა ჩემს ნახელავს... მეტი რა გითხრა, რაც წავედი, თითქმის სულ წყალზე ვიყავი: ხან დიდი ღელვა იყო, ხან სიწყნარე". ამით დაამთავრა თვალით ნანახის აღწერა მეზღვაურმა. ჩემი მეგობარი კი ოთხსაათიან ლექციას კითხულობდა წყნარი ოკეანის შესახებ პირდაღებულ აუდიტორიაში.

თვალით დანახვა სხვაა, გონებით დანახვა კი სხვა. კანტი კენიგსბერგის (ახლანდელი კალინინგრადი) არემარეს არ გასცილებია, მაგრამ ისე იცოდა მსოფლიოს გეოგრაფია, კარამზინის თქმით, ერთ დიდ გეოგრაფს შეშურდებოდა. ამბობენ, ჟიულ ვერნის ზღვა არ უნახავს, მთელი მისი შემოქმედება ზღვის ქვეშ და ზღვის ზევითაა გაშლილი. ერთმა ძველმა ფილოსოფოსმა თვალები დაითხარა, უკეთ რომ დავინახო უხილავიო. ცხრა აპრილის ტრაგედიის მოწმე-მონაწილენი ვართ თითქმის მთელი თბილისი. რა მოხდა, ჯერაც გონს ვერ მოვსულვართ. თვალხილული მოვლენების მოტივები, მიზეზები, შედეგი ხილულს მიღმაა. სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების არსს გრძნობის ორგანოებით ვერ მივწვდებით. ჩვენ უფრო ცუდად ვიცით ცხრა აპრილის ტრაგედია, ვიდრე კრწანისის ომი. მოვლენა რომ მიახლოებითი სიზუსტით მაინც დავინახოთ, დროის დისტანციაა საჭირო. ეს ისტორიული კანონზომიერებაა. იპოლიტ ტენი, დიკენსის თანამედროვე კრიტიკოსი და მწერლის დიდად დამფასებელი, წერს: დიკენსი რომ შევაფასოთ, ძნელია, რადგან ჯერ, სამწუხაროდ, დიკენსი ცოცხალიაო. გასული საუკუნის გაზეთები მიფურცლავს ხშირად. გამკვირვებია ასეთი ინფორმაცია: საღამოს ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი... და სადღაც კუნჭულში ვნახე ბუმბერაზი ვაჟაც. მამია გურიელი (მისი თანასოფლელი გახლავართ) გურიის მთავრის მემკვიდრე თუ უკანასკნელი მთავარი მომხიბვლელი კაცი გახლდათ. იშვიათი გარეგნობითა და დეკლარაციით მაღალ შთაბეჭდილებას ქმნიდა. ლიტერატურის ისტორიას კი შემორჩა ერთი ლექსით „ადამიანი". ასე რომ, „მრავალ არიან წოდებულნი, მცირედი რჩეულ". სხვანაირია აწმყოს დანახვა, მომავლის შეფასება. ასევე სხვადასხვანაირია ისტორიული პრობლემების შეფასება – სამშობლოს ღალატს შეიძლება გმირობასაც უწოდებდნენ ან პირიქით. დროის საცერში ყოველივე გაიცრება. მაგრამ ახლა რა ვქნათ, გამოდის, რომ არავის და არაფერს დავუჯეროთ? ასეთ შემთხვევაში ავტორი ხომ არ ფიქრობს, მე დამიჯეროთო? არც მე დამიჯეროთ, არც პეტრეს, არც აქსენტის... უნდა დავუჯეროთ იმას, რაც სწორია არგუმენტით, ლოგიკით. ასეთ შემთხვევაში მე უნდა დამიჯეროთ ის, რაც სწორია, რის შესახებაც არა ვარ სწორი, ის არ უნდა დამიჯეროთ. როგორმე კერპის თაყვანისმცემლობიდან თუ არ გავთავისუფლდით, ჩვენს სასჯელს დასასრული არ უჩანს. ღმერთი გვსჯის, როცა ხალხი გაიძახის – აი, ეს კაცი გადაგვარჩენს, ან ის კაცი გადაგვარჩენს. უკვე ღმერთის რისხვას იმსახურებს. ხალხს უნდა ჰქონდეს ღმერთის იმედი, ჭეშმარიტების ძალის, საღი აზრის იმედი. ამ ჭეშმარიტებას ვინც მეტად ემსახურება, ის აირჩიე მეფედ, გინდ იმპერატორად, გამგებლად. ვიდრე მხსნელად კაცი მიგაჩნია, შენი მხსნელი ღმერთი არ იქნება. – ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვინც ტყუილად არ იწერს პირჯვარს.

არაფერს ორიგინალურს არ ვიტყვი, თუ ვიტყვი: თეოლოგიის შემდეგ ფილოსოფიაზე უკეთესი ჭოგრიტი – გაიხედო, საით მიდის ქვეყანა – არავისა აქვს. სიტყვა „ფილოსოფიის" ხსენება ნუ შეგაშინებს. ფილოსოფიაზე ლაპარაკი შეიძლება ნებისმიერ დონეზე. მახსოვს: 1970 წლის იანვარში კოჩუბეიში (ყიზლარში) ჩვენს მწყემსებს ვეწვიეთ ცეკას დავალებით – კინოს წარმომადგენელი ბატონი კარლო გოგოძე, ისტორიკოსი, საერთაშორისო მიმომხილველი ბატონი ზანდი ბოცვაძე, მე და სხვები. მე დამცინოდნენ, – ეე, ფილოსოფოსო. ჩვენ კი გვაქვს მწყემსებთან სალაპარაკო, ვაჩვენებთ ფილმებს, ვეტყვით მათ, რა ხდება მსოფლიოში, ომი იქნება თუ არა. მაგრამ, ფილოსოფიაზე შენ მწყემსებს რა უნდა ელაპარაკოო...

ავტობუსიდან გადმოვედით თუ არა ცოვ ველზე, მაშინვე შევუდექი ჩემს ხელობას. შეკრებილ მწყემსებს ასე მივმართე: მეგობრებო, ამბობენ, მწყემსები ყველაზე უფრო ფილოსოფიური ხალხიაო, რადგან დილიდან საღამომდე ფიქრის დროც გაქვთ და საჭიროებაც. ფიქრობთ – რა ვიყავი ასი წლის წინათ, რა ვიქნები ასი წლის შემდეგ, ფიქრობთ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც ქალაქში თითქმის აღარ ჩანს, ვინ მოჭედა, რა ხელმა მოჭედა... მოკლედ, იცოცხლე, მწყემსებმა მაგრად გამისწრეს ფილოსოფოსობაში. არ მინდა ფილოსოფიის პროფესიონალური სირთულეები გავაუბრალოვო. ერთი გულისტკივილი მინდა გამოვხატო. ჩვენ ძლიერი ფილოსოფოსთა სკოლა გვაქვს. განთქმული იყო და არის ქართველი ფილოსოფიური, ღონიერი აზროვნების ტრადიციები. დღეს ფილოსოფიის დარგის სპეციალისტების ცხოვრება უჭირთ, მაგრამ მაინც დიდია მათი სულიერი ძალა. დღევანდელი ცხოვრება ცხოვრებისთვის ჯოჯოხეთია, მაგრამ თეოლოგისათვის, ფილოსოფოსისათვის, მწერლისა თუ ჟურნალისტისათვის დიდი ჯილდოა – ცხოვრობდე ჯოჯოხეთურ, მაგრამ საინტერესო ეპოქაში. ორიათას ხუთასი წლის წინათ ერთი ბერძენი ფილოსოფოსი შეხვდა მზეს – მზეო, ოღონდ ჩამახედე შენს გულში და მერე თუნდაც ჩამწვი შენს წიაღშიო. ეი, ფილოსოფოსის სიცოცხლის საზრდოს ურჩევნია აზრის საზრდო, რაც ყველაზე უხვად გარდატეხის ეპოქას მოსდევს. მცონარა, კარგად გამოკვებილი, გაპუტკუნებული მშფოთვარე იდეებს არ შობს. ესაა სხვანაირი ეპოქა. ტექნიკურმა ცივილიზაციამ უკვე გააერთიანა მსოფლიო (ცხადია, არა პოლიტიკურად), უნიფიცირება მოხდა. როგორია გლობალური კატასტროფის მსოფლიო მასშტაბების პერსპექტივა, მცირე ერების ბედი, კონ[illegible] ურთიერთმიმართება და სხვა. ეი, რაც [illegible], რაც [illegible] ბევრი, ბევრი „ეეჰ, ჩემო ჰორაციო, ბევრი რამ ხდება ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ აზრად არც კი მოლანდებიათ". აი, მოლანდებებს აქეთ რაც არის, იმათ თავი გავანებოთ.

ის ვირწმუნოთ, აზრის საგნად კი ვაქციოთ თვით ჩვენი აზრი. 1990 წელს თბილისის უნივერსიტეტს ეწვია გერმანიიდან 12 საუკეთესო თეოლოგ-პროფესორი, ძმები ჰამპელების ხელმძღვანელობით. საინტერესო ერთობლივი კონფერენცია ჩატარდა. მცხეთაში შედგა პურობა. თამადამ ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა: ძვირფასო მეგობრებო, ღვთისმსახურნო, მეცნიერების ღვაწლმოსილო წარმომადგენლებო. თქვენ ბედნიერი ქვეყნის შვილები ხართ. ჩვენ ძალიან გვიხარია გერმანიაში ჩასვლა. იქ ყველაფერი ჭკვიანია: კარის სახელური, ონკანი, ქუჩა თუ ეზო. თქვენთან გონიერება ობიექტივირებულია, სამოთხისებური სიმშვიდე და კეთილდღეობა სუფევს. აბა, ჩვენთან, დღეს ყველაფერი ერთმანეთში ირევა, ამდენი ერის, ტომის ხალხი ცხოვრობს მიწაზე, აკლია წესრიგი და ცაში ვეძებთ მას. ჩვენს ყოფას რომ ვუყურებ, თვალწინ მიდგას იმ დროის იუდეველთა პროვინცია რომის იმპერიაში, როცა ქრისტე უნდა მოსულიყო. ჩვენთან რომ კაცს აზრი მოუვა, ნორმალურ ქვეყანაში ის თავში როგორ გაუელვებს კაცს?.. ერთმა მათგანმა გულიანად გადაიხარხარა. – ესე იგი თქვენთან მოვა ქრისტე, ჩვენთან არაო?.. თეოლოგებმა კეთილი შურით აღნიშნეს ჩვენი მძიმე, მაგრამ ჭეშმარიტად ქრისტესმიერი ტანჯვის უპირატესობა. „ნეტარება ტანჯვაშია" – როცა გვეუბნება მაცხოვარი, იმას გულისხმობს, რომ ამ ტანჯვამ ნათელი უნდა დაგვანახოს, სიკეთეს უნდა გვაზიაროს. თეოლოგისათვის, ფილოსოფოსისათვის ტანჯვა ღირსეული ხვედრია. ტანჯვა-სიძნელენი წარმოშობს კაი ყმას.

მაგრამ ჩამოვიდეთ მიწაზე. ფილოსოფოსები ფრთიანი ანგელოსები არ არიან. ანგელოსები ვერ გამოკვებავენ. ძალიან უჭირთ ცხოვრება („ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას"?!). ფილოსოფოსების აზრი აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების განსაზღვრისას. მათ ცოდნით გამოცდილებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ორიოდ ცნობილ ანეკდოტს გავიხსენებ:

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი თალესი (ორიათას ხუთასი წლის წინათ) დილისით ეზოში დადის და გულმოდგინედ აკვირდება ცას. იგი ბუნებისმეტყველიც გახლდათ (მაშინ ფილოსოფია არ იყო მეფე ლირის მდგომარეობაში). თავაწეული თალესი ჩავარდა ჭაში. თრაკიელი ქალი თავზე დაადგა ორმოში ჩავარდნილ ფილოსოფოსს. – ბრძენო, როგორ დაგიჯეროთ, ცაზე რა ხდება, როცა ცხვირწინ ჭა ვერ დაგინახავსო.

თალესი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. შენ რომ ბრძენი იყო, ჯერ თავს მიხედავდიო. თალესი ბევრს უმტკიცებდა, რომ ბრძენთა საქმე არ არის სიმდიდრე და ბოლოს და ბოლოს დაიდო ასეთი სანაძლეოც. მან გარკვეული დრო ითხოვა. ფილოსოფოს-ბუნებისმეტყველი დაკვირვებებით მიხვდა, რომ შემდეგ წელს ზეთისხილის დიდი მოსავალი იქნებოდა. წინა წლებში საერთოდ აღარ იყო და ზეთისხილის სახდელი წისქვილები მეპატრონეებმა მიაგდეს. თალესმა გროშის ფასად შეიძინა ისინი. როცა მოვიდა ზეთისხილის დიდი მოსავალი, დიდ ფასებში დაუბრუნა იგი მეწარმეებს. ასე რომ, ფილოსოფოსებს შეუძლიათ საუკეთესო ბიზნესმენნიც იყვნენ.

**– ბატონო ვახტანგ, თქვენს ნაწერებში ხშირად ვხვდებით სიტყვა „სანაძლეოს". თქვენც ხშირად სთავაზობთ საზოგადოებას სანაძლეოს. ზოგიერთის თქმით, ცოტა პროვინციალიზმის იერს ხომ არ ატარებს ამგვარი თეორიული გამოწვევა, ნიძლავის დადება საზოგადოებასთან?**

– 1990 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში ტელევიზიაში ჩაიწერეს ჩვენი ტრიალოგი (გახლდით ვალერი კვარაცხელია, ირინა სარიშვილი და მე). ჩანაწერში ნახსენებია სიტყვა „სანაძლეო", რომელსაც გარკვეული დატვირთვა ჰქონდა (საუბარი შეეხებოდა ეროვნული კონგრესის არჩევის საკითხს). ბევრი ულონ-უკბინეს ჩანაწერს, მისი დადონდლოება უნდოდათ. მითხრეს, ეს „სანაძლეო" რაღა არის, რა პროვინციალიზმიაო. მაშინ გავახსენე, – იქნება გადაფურცლოთ გოეთეს „ფაუსტი". ამ გენიალური ნაწარმოების ქარაგმა სწორედ სანაძლეოზეა გაშლილი. პირველი სანაძლეო დაიდება ღმერთსა და მეფისტოფელს (დიდ ეშმაკს) შორის. მეფისტოფელი უმტკიცებს ღმერთს, რომ ადამიანი ბოროტებისთვის არის შექმნილი. ღმერთი კი არწმუნებს მეფისტოფელს, ადამიანი ღვთის შვილია, მასში სიკეთე იმარჯვებს. სანაძლეოს ექსპერიმენტის საგნად დოქტორი ფაუსტი აირჩიეს. ბევრი ატარა ეშმაკმა ფაუსტი ბოროტების გზაზე, ბევრი ბოროტების მიზეზ-მონაწილეც გახადა იგი, მაგრამ საბოლოოდ სძლია მასში სიკეთემ. გარდაცვლილი ფაუსტის სულს ცდილობს დაეპატრონოს ეშმაკი, მაგრამ მის კეთილ სულს ანგელოსები დაეუფლებიან და ზეცად აღავლენენ. ამ ცოდვით სავსე წუთისოფელში უცოდველად არც ფაუსტს

გაგრძელება მე-4-გვ.

# ახლანდელ მძარცველებთან შედარებით მხედრიონელი ქურდები ყაყიტას ქურდები არიან

მესამე გვერდიდან

უცხოვრია, მაგრამ ცოდვათა დაძლევისათვის სიფხიზლე გვმართებს მუდამ.

სანაძლეო პროგნოზირების გარკვეული ფორმაა. მორწმუნე კაცი არ დაგენიძლავებათ, – ვინ მოიგებს, ვთქვათ, დღევანდელ ფეხბურთის მატჩს. თამაშის მოგების პროგნოზირება ფორტუნასთან, ბედის არაღვთაებრივ გამგებელთან, არის დაკავშირებული. ჰეგელს აქვს ერთი პატარა ფილოსოფიური ეტიუდი „ბანქოს თამაშის შესახებ". სასაცილოა, – ამბობს იგი, როცა კაცი ბანქოს თამაშის დროს ღმერთს შევედრება, სასურველი კარტი მომეციო. თამაშის ბედი ეშმაკეულთან არის დაკავშირებული, მას ღმერთთან საქმე არა აქვს.

ძალიან დიდია ადამიანის ცდუნება – იწინასწარმეტყველოს, თავისი განსაკუთრებული წარმომადგენლობის მანდატი გვიჩვენოს უფლისაგან. ცოდვა იქნება, თუ უფლისაგან გამოგზავნილი კაცი ვერ ვიცანით და ცხადია, ვერ ვიცნობთ, ადვილად მაინც. მაგრამ, ცდუნება – თავი წინასწარმეტყველად წარმოიდგინო, მკრეხელობაა. უფლის ნების განმარტებლის მისია ადვილად არ ნაწილდება. მე არანაირი ხილვები, წინასწარმეტყველებითი მოლანდებები არ მაწუხებს. წინასწარმეტყველების ღვთაებრივი წიგნი ჩვენ გვაქვს, რომელსაც ბიბლია ჰქვია. თუ გაინტერესებს – რატომ, რისთვის, როგორ სჯის ღმერთი ქალაქს თუ ქვეყანას, ვკითხოთ ამ წიგნს. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებათა შესახებ ადრეც და ახლაც დიდი იყო ინტერესი, მას გოეთეც იმოწმებს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ბიბლიიდან, აპოკალიფსისიდან არის აღებული. ასე რომ, წინასწარმეტყველების ცდუნება დიდია, მაგრამ ცდუნებას არ უნდა აჰყვეთ. იმდენად ტკბილია ეს ცდუნება, რომ, გოეთეს თქმით, თვით საშინელი წინასწარმეტყველებაც, თავის თავის მიმართ რომ აუხდება ადამიანს, ისიც კი უხარიაო (თუ არ ვცდები „პოეზია და ჭეშმარიტებიდან") ე.ი. სარწმუნოებრივი მორალი ასეთია, ადამიანი ღმერთის საქმეში ნუ ერევა, ნუ ასაღებს თავს მის წარმომადგენლად, როცა მას, ასეთი რწმუნება არ მიულია. ეს დანაშაულია. მაგრამ ელემენტარული სოციალური პოლიტიკური პროგნოზი – საით მიდიხარ, რას შვრები, ეს ევალება კიდევაც მათ, ვისაც პრეტენზია აქვს გავლენას ახდენდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, გნებავთ ძალიან დიდი ჯგუფის ბედზე.

რატომ კრძალავს „სახარება" ფიცს, წყევლას, მუქარას? იმიტომ, რომ „ხვალისა ხვალემან იზრუნოს", შენ არა ხარ ხვალინდელი დღის დამგეგმავი. მე ამას ვიზამ, იმას ვიზამ, და შეიძლება ხვალ აღარ იყო.

რაც შენი ნების სამფლობელოებს სცილდება, იმაში ნუ ერევი, თუ არა დაგსჯი, – გვითხრა უფალმა. ამიტომაც, ხშირად უბრუნდება წყევლა მაწყევარს. რაც დასაწყევლია, მას ღმერთი თვითონ მიაგებს, შენ ნუ უშლი ხელს. დაფიცება, რომ მე წარვმართავ მოვლენებს ისე, რომ ვერ ითვალისწინებ, რა არ არის შენზე დამოკიდებული, ღმერთს გააბრაზებს. ამიტომ ამბობენ (ხალხურად), კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. შეგიძლია დაიფიცო, რომ მე ესა თუ ის ფაქტი არ ჩამიდენია, ან ჩავიდინე, მაგრამ მომავლის წარმართვის ღვთისგან უნებართვო განაცხადი ისჯება, ადრე თუ გვიან.

– ბატონო ვახტანგ, გაზეთ „საქართველოს" თორმეტ ნომერში დაიბეჭდა თქვენი წერილების სერიალი, რომელსაც თქვენ ხუმრობით, თქვენი „ტროპიკანკები" უწოდეთ. თუ გაქვთ რაიმე სოციალური მონაცემები, ან თქვენი ინტუიციით, როგორი არის სავარაუდოდ საზოგადოების აზრი მის მიმართ. როგორია თქვენი აზრი პოპულისტობისა



და პოპულარობის შესახებ? ვინ არის და როგორია თქვენი მკითხველი?

– ბოლო კითხვაზე, ალბათ, მთელი წიგნი დაიწერებოდა.

გაზეთმა მარჯვე კითხვების გარდა, ფსიქოლოგიურად მასტიმულირებელ ხერხს მიმართა. ჩვენი პოლიტიკოსების აზროვნების ორიენტირი მიმართულია იქეთკენ – „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა". ეს მწერლობის თემაა, ფსიქოლოგებისა თუ ფილოსოფოსების საკვლევი საგანიცაა. უზარმაზარი ილუზიის ტყვეობაში ვართ. ვცდილობთ, რაც შეიძლება კარგად ჩავეწეროთ ისტორიაში. რა თქმა უნდა, ისტორია ბევრ სიყალბესაც იტევს, მაგრამ ჩვენი საუკუნე ამ მხრივაც არის საოცარი. საცერში გაიცრება წარსულიცა და აწმყოც. განიკითხავს უფალი მკვდართაც და ცოცხალთაც. არ დაიწერება ისტორია ისე, როგორც იწერებოდა. არ წაიკითხება ისტორია ისე, როგორც იკითხებოდა. როგორც არასდროს, ისე გამოჩნდება ყველა ჩვენთაგანის ნამდვილი და არა ნათამაშევი სახე (ეეჰ, დასჭირდება კი ვინმეს ჩვენი სისულელეების აღწერა?).

მირეკავდნენ მხოლოდ თანამოაზრენი, კეთილმოსურნენი. რას მეუბნებოდნენ ისინი, ამაზე არაფერს გეტყვით. მე ვთხოვდი მათ, გამიგეთ, ვისაც არ მოსწონთ, რად არ მოსწონთ, როცა მლანძღავენ, რისთვის მლანძღავენ. აი ესაა საინტერესო, თორემ ქება მოსაწყენია.

მე ვწერ ფაქტებითა და ფაქტებზე. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ თუ ესენგეში არ შევიდოდით, თბილისი გროზნოს ბედს (წაგებულად) გაიზიარებდა. საქართველო იღუპებოდა. „საქართველო" აქვეყნებს (და ყველა ასეთი წერილი უნდა გამოქვეყნდეს) ერთ წერილს „გეყოფათ რა, ბატონო ვახტანგ, ამდენი ტყუილები", მე ამნაირ ნაწერს ვერაფერს ვუპასუხებ, აქ არის ლანძღვა და წყევლა-კრულვა. ოპონენტი მთხოვს, რომ თავი მოვიკლა. მე ქრისტიანი კაცი ვარ და თავის მოკვლის უფლება არა მაქვს. წერილის ავტორის დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ რას იზამ.

მთავარი, რაც კულისებში შეგროვებული ჩურჩულით მესმა – ასეთია: სად იყო მანამ, ახლა რომ თანამდებობა დაკარგა, დაბოლმილი კაცის მუშტებს იქნევს და სხვა ამგვარი. ეს აზრი ბოგინობს კულისებში, მაგრამ ამგვარი რამის თქმის უფლება არა აქვს პროფესიონალ ჟურნალისტს ან პოლიტიკოსს. თუ იგი პროფესიონალია, თავის კითხვაზე უნდა აგებდეს პასუხს, უნდა იცოდეს, რის შესახებ სვამს კითხვას. ფართოდ უნდა იცნობდეს ამ ორი-სამი წლის მანძილზე, დიახ, ჩემი სპიკერობის დროს ჩვენს პრესაში გამოთქმულ ბრალდებებს, რომ მე, სპიკერი, ვიყავი შევარდნაძის „ორგული", „მოღალატე", არ ვიზიარებდი მის კურსს და ა.შ. სხვათაშორის, არც ჩემი ზოგიერთი პასუხი იყო გაორებული და ვადასტურებდი, რომ კურსის თაობაზე მე მაქვს მეთაურისაგან განსხვავებული აზრი. მოღალატეობა კი მოღალატეების საქმეა და არა ჩემი.

თუ მე თანამდებობისთვის მებრძოლი კაცი ვარ, უნდა მეზრუნა არა იმისთვის, რისთვისაც ვიბრძოდი, უნდა მეზრუნა სკამის შენარჩუნებისათვის. ბევრს მოგაბეზრეთ თავი, მაგრამ კიდევ შეგახსენებთ, სპიკერობიდან გადადგომის განცხადება გავაკეთე ორჯერ, მესამეჯერ კი გავიქეცი პარლამენტიდან, თუმცა დამაბრუნეს.

ახლა იტყვიან, რატომ დაბრუნდი, როგორ გაიძულეს დაბრუნება, თუ შენც არ გინდოდაო. ან თავი რად არ მოიკალიო და ა.შ. მე მაშინაც იმას ვგოდებდი, რასაც ახლა. არ ვიყავი მე მაშინ უფრო კაი [illegible] ვიდრე ახლა ვარ.

არ ვიზიარებ[illegible] ვიზიარებ იმ კურსს, რომელ[illegible] ქართველი ერი საქართველოში [illegible]. არავის ჯიბრით მე არ [illegible]. ვწუხვარ და ვშფოთავ ისე, როგორც ყველა ნორმალური ქართველი, სასტიკ პასუხს მოგვთხოვს [illegible] სამსჯავრო. აწმყო [illegible], ხვალე – უფლისა.

მე მინდა [illegible] მოვუხადო ბატონ პრეზიდენტს, რადგან ხშირად მიხდება მისი სახელისა და გვარის. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნაირნაირ ბრუნვაში ტრიალი". მისი პიროვნების მიმართ უპატივცემულობას ვერ დამაბრალებენ, მაგრამ ილაპარაკო დღევანდელ საქართველოზე ბ-ნი ედუარდის გვერდის ავლით, ეს იგივეა, რასაც რუსეთის ისტორიკოსები აკეთებენ, მეორე მსოფლიო ომის ისტორიას წერენ და სტალინი ავიწყდებათ.

რაც შეეხება ბატონ ედუარდს, მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ მას შეუძლია 180 გრადუსით შებრუნება – შემობრუნება. იგი არ არის სალონის პოლიტიკოსი, იგია სლალომის პოლიტიკოსი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, შევებრძოლოთ საკუთარ თავს, ნებისმიერს, რათა ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა. შეიძლება ჩვენი ქვეყნის საქმე არც ისე ცუდადაა, მე რომ მეჩვენება და არც ისე კარგად, როგორც პრეზიდენტს.

24 აგვისტოს, კონსტიტუციის მიღების წლისთავზე, მშვენიერი ცერემონიალი შედგა. მართლა არ შეიძლებოდა არ გაგვხარებოდა – სახელმწიფო მართლა დაემსგავსა სახელმწიფოს. ეს არაა უმნიშვნელო რამ. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ამ ორი-სამი წლის წინანდელ კოშმარს, გაბურძგვნილი ავტომატიანების უთავბოლო სირბილსა და სხვა უბედურებებს. ეს ძვირადღირებული სტაბილიზაცია დასაფასებელია. რაც კონსტიტუციის მიღების პროცესში პარლამენტზე გამოიკვეთა – მიზანი – ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პარლამენტი, – ეს მართლაც მიღწეულია. ჩვენ გვყავს ძლიერი ხელისუფლება და სუსტი საქართველო.

სახელმწიფოს სახე დიალექტიკურად უნდა შევაფასოთ – შავით და თეთრით. ხელისუფლების ცენტრალიზება და მისი დახვეწა, სახელმწიფოებრიობის სახის მიღება, ვიმეორებ, მისასალმებელია. სხვაგვარად არც შეიძლება სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ მის პარალელურად დაიხვეწა აგრეთვე მაფიოზურ-კლანური მძარცველობის კულტურა. ახლანდელ მძარცველებთან შედარებით მხედრიონის ქურდები ყაყიტას ქურდები არიან.

სამართალი

# მსხვერპლი დაპატიმრებულია მოძალადის ბრალდებით

კრწანისის სასამართლოში გრძელდება მამა-შვილ იაშა და დავით თეთრუაშვილების სასამართლო პროცესი, რომელიც აღძრულია მიხეილ ჯანაშვილის – „ჩაშკას" საჩივრის საფუძველზე.

თავმჯდომარე მიხეილ ოთარაშვილი. სასამართლოში მიცემულთა ადვოკატები არიან ოთარ გამყრელიძე და კუკური ჯუმბერიძე.

იაშა და დავით თეთრუაშვილების მიმართ დანაშაული გათვალისწინებულია სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით და 228-ე მუხლის III ნაწილით.

სისხლის სამართლის საქმეში ორი მოვაჭრე ფიგურირებს: იაშა დავითის ძე თეთრუაშვილი და მიხეილ „ჩაშკა" ისაკის ძე ჯანაშვილი. პირველი – მედიკამენტების ჩვეულებრივი მოვაჭრეა, ამასთან მორწმუნე და ებრაელთა სალოცავის საჯამაათოს აქტიური წევრი, ხოლო მეორე – მედიკამენტების „მაღალი რანგის" მოვაჭრედაა მიღებული. იგი ძვირადღირებული და დეფიციტური მედიკამენტების გასაღებით არის ცნობილი მაღალი რანგის თანამდებობის პირთა შორის.

საქმის მასალებიდან ვგებულობთ, რომ მ.ჯანაშვილმა ქართველ ებრაელთა სალოცავის გვერდით, თავისი ძის ბინაში განიზრახა აფთიაქისა და სავაჭრო დუქნის გახსნა, რისთვისაც მოამზადა შესაბამისი წარწერა და დაახატინა ქვეწარმავლის გამოსახულება.

მ.ჯანაშვილის ასეთი გადაწყვეტილების გამო სამლოცველოს საჯამაათოს წევრებმა იაშა თეთრუაშვილის ხელმძღვანელობით 1995 წლის ივლისის თვეში წერილით მიმართეს სახელმწიფოს მეთაურს ბ-ნ ე.შევარდნაძეს და მიუთითეს, რომ ქართველ ებრაელთა სამლოცველოს გვერდით გახსნილი სავაჭრო დუქანი იერსახეს უკარგავდა სალოცავს, გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა მლოცველებსა და ტურისტებს და მოითხოვეს, რომ ჯანაშვილისათვის უფლება არ მიეცათ ორგანოებს განზრახვის განხორციელებისათვის.

სახელმწიფოს მეთაურმა 1995 წლის 10 აგვისტოს თბილისის მერიისადმი (ნ.ლეკიშვილი) მიწერილ წერილში მიუთითა: „ბატონო ნიკო, თუ ყველაფერი ეს სინამდვილეა, დაცული იქნეს სალოცავის ინტერესები".

მ.ჯანაშვილმა მაინც გახსნა უნებართვოდ აფთიაქი. მისთვის ცნობილი გახდა, რომ მითითებული წერილის ავტორი იყო იაშა თეთრუაშვილი და მის მიმართ შურისძიებით აღივსო.

1995 წლის 13 აგვისტოს, დღის 12 საათზე, იმ დროს, როცა იაშა და დავით თეთრუაშვილები საკუთარ ეზოსთან საქმიანობდნენ, მ.ჯანაშვილი შურისძიების მოტივით წინასწარგამზადებული ნიჩბით თავს დაესხა მამა-შვილს, მიმართა მათ ყოველგვარი უშვერი სიტყვებით და მიაყენა სხეულის დაზიანებები. ნიჩბის დარტყმის შედეგად უგონოდ დავარდა დავით თეთრუაშვილი. ამის შემხედვარე დედამ საშველად მიმართა მეზობლებს, მაგრამ – უშედეგოდ. ვერავინ გაბედა მათთან მისვლა. ამის შემდეგ სარა თეთრუაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა კრწანისის რაიონის პოლიციას და სთხოვა დახმარება.

პოლიციის მუშაკები მალე მოვიდნენ და განყოფილებაში „ჩაშკა"-სთან ერთად დასისხლიანებული მამა-შვილიც წარადგინეს. პოლიციაში მიყვანილი დავით თეთრუაშვილი მიღებული ტრავმის გამო შოკურ მდგომარეობაში ჩავარდა. სასწრაფო დახმარებით იგი თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და მედპერსონალის დროული დახმარებით იგი სიკვდილს გადაარჩინეს. ექსპერტიზამ ეს დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებად შეაფასა.

მ.ჯანაშვილმა, აღმოჩნდა რა დაპატიმრების საშიშროების წინაშე, მიიღო სასწრაფო ზომები. მან პოლიციის მუშაკების რჩევით მოისყიდა თავისი სამი მუშა და მაღაზიის თანამშრომლების არასწორი ჩვენებით შექმნა ვერსია: თითქოს მამა-შვილმა თეთრუაშვილებმა მოახდინეს მ.ჯანაშვილზე თავდასხმა და მიაყენეს სხეულის დაზიანებები. ამის გამო მ.ჯანაშვილი მეორე დღესვე მოთავსდა იმავე საავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილებაში, სადაც მკურნალობდა დავით თეთრუაშვილი.

მ.ჯანაშვილს თავდაპირველად ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ამ დაზიანებით ძნელი იქნებოდა დ.თეთრუაშვილის მძიმე ხარისხის დაზიანებასთან დაპირისპირება და მან „კეთილი" ექიმების დახმარებით მოახერხა მოგონილი დიაგნოზის დაფიქსირება. უროლოგიური გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა „შარდის ბუშტში სისხლის ჩაქცევა და მარცხენა თირკმლის გახეთქილობა". ასეთი დიაგნოზი მძიმე ხარისხის დაზიანებად შეფასდებოდა.

მოცემულმა საქმემ შვიდი გამომძიებლის ხელში გაიარა და მათ შორის მხოლოდ ერთმა – გახოკიძემ მიუკერძოებელი და სამართლიანი მიდგომა გამოიჩინა. მან ეჭვის ქვეშ დააყენა ჯანაშვილის მოგონილი დაზიანებები და კომისიური ექსპერტიზა დანიშნა.

ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ „მ.ჯანაშვილს დაზიანება მიღებული აქვს 13 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათზე. საავადმყოფოს კი მიმართა 14 აგვისტოს 12 საათსა და 30 წუთზე. ყოველივე ეს კი საეჭვოს ხდის თირკმლის გახეთქვასა და ექსპერტიზის დასკვნის სისწორეს" (გახეთქილი თირკმელით ადამიანი ერთ დღეს კი არა, რამოდენიმე საათს ვერ ძლებს).

კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან ირკვევა, რომ მ.ჯანაშვილის თირკმლის გახეთქვა მათაც საეჭვოდ მიუჩნევიათ. შემოწმების დასკვნა ასეთია: „მ.ჯანაშვილის სათესლე ჯირკვლები და თირკმლები ცვლილებების გარეშეა და დაესვა დიაგნოზი: ჯანაშვილი პრაქტიკულად ჯანმრთელია და მას შარდსასქესო ორგანოების არავითარი პათოლოგია არ დაუდგინდა".

მიუხედავად ამისა, სასამართლო სამედიცინო საექსპერტო კომისიამ არ გააუქმა მ.ჯანაშვილის მიმართ ადრე გაცემული ექსპერტიზის დასკვნა და მიუთითა, რომ მ.ჯანაშვილის დაზიანებები (თირკმლის გახეთქვა, ტვინის შერყევა) მიჩნეულია სწორად.

ამ ფიქტიური დასკვნის საფუძველზე, მ.ჯანაშვილს „მიღებული" აქვს რა „მძიმე ხარისხის დაზიანებები", შეიძლება მიესაჯოს თეთრუაშვილს თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით.

პოლიციის ზოგიერთი „კეთილი" მუშაკის ხელოვნური მტკიცებულებებით ჯანაშვილი კი არ დასხმია თავს თეთრუაშვილებს, არამედ ეს უკანასკნელები დაესხნენ თავს და მთელი 2 საათის მანძილზე ცემდნენ ხე-

გაგრძელება მე-5-გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გვერდიდან

ლებით, ფეხებით, ძალაყინებით საკუთარი სახლის წინ. მომხდარი ინციდენტი მ.ჯანაშვილის სამი მუშის და ერთი მეგობრის გარდა არავის დაუნახავს.

მ.ჯანაშვილს სამართალდამცავებმა ურჩიეს თეთრუაშვილთან შერიგება, რასაც შეეცადა კიდეც ეს უკანასკნელი. მაგრამ თეთრუაშვილმა მოსთხოვა მას მიეტანა ნიჩაბი, შესულიყო სალოცავში და მოენანიებინა, რაც ჯანაშვილმა ითაკილა.

იაშა თეთრუაშვილის დაპატიმრებისათვის იზრუნეს პოლიციის მუშაკებმა, მაგრამ მთლად ვერ გაბედეს იმის შიშით, რომ ვაითუ ხელოვნურად შექმნილმა მტკიცებულებებმა არ გაამართლოსო.

ამგვარად, 1995 წლის სექტემბრის დასაწყისიდან დაგეგმილ იქნა დასაპატიმრებლად სხვა საფუძვლის შექმნისათვის თეთრუაშვილის ბინის ჩხრეკა, რომელიც ითვალისწინებდა მის ბინაში ნარკოტიკების შემცველი და ჰუმანიტარული დახმარების მედიკამენტების ან ფეთქებადი და ცეცხლსასროლი იარაღის აღმოჩენას. ამავე წლის 29 სექტემბერს ი.თეთრუაშვილის ბინაზე ჩატარდა ჩხრეკა, რომლის მიზანიც იყო ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მედიკამენტების აღმოჩენა. ოქმში მითითებულია ჩანთის შესახებ, რომელშიც აღმოაჩინეს ხელყუმბარა და „მაკაროვის“ პისტოლეტის მჭიდი. ვაზნები და 33 ტონა მედიკამენტი სახლის სხვადასხვა ადგილებიდან იქნა ამოღებული.

რაც შეეხება მედიკამენტებს: თეთრუაშვილების ბინიდან ნარკოტიკების შემცველი წამლები ვერ ამოიღეს. 491 დასახელების მედიკამენტი (50.000 აშშ დოლარის ღირებულების) გაანადგურეს იმ მოტივით, რომ ვადაგასული იყო და სანაგვე ყუთში ჩაყარეს, მაშინ როდესაც ამ „განადგურებას“ არც ერთი პირი არ ესწრებოდა ფარმაკოქიმიის დარგის სპეციალისტებიდან.

ჩანთა, ცეცხლსასროლი იარაღით. დაღუპვის წინა დღეს თეთრუაშვილებთან დარჩენიათ აწ გარდაცვლილ კიკნაძესა და ხაჩიძეს, რომლებიც უშიშროების მუშაკები იყვნენ და იარაღის ტარების უფლებაც ექნებოდათ. ბუნებრივია, მათი გარდაცვალების შემდეგ იგი არავის მოჰგონებია და ოჯახის სხვა ნივთებთან ერთად ინახებოდა. ჩანთის შესახებ იცოდა დიასახლისმა, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ რა ინახებოდა მასში. იაშა თეთრუაშვილს წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩანთის დატოვების შესახებ, რადგან ამ დროს მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ცოლ-ქმარმა ხელჩანთაში არსებული ხელყუმბარისა და ვაზნების შესახებ შეიტყვეს მხოლოდ ჩხრეკის ჩატარების მომენტში (თეთრუაშვილების საქმეში ეს მომენტი, ცოტა არ იყოს, მათ სასიკეთოდ ვერ მეტყველებს რედ.).

საქმიდან ირკვევა, რომ არაერთხელ იყო მცდელობა მოწმეებისათვის გადაეთქმევინებინათ ჯანაშვილისათვის არასასურველი ჩვენებები და ვითომდა თვითმხილველთა ყალბი ჩვენებებით დაედანაშაულებინათ მამა-შვილი თეთრუაშვილები (თვითონ ჯანაშვილის ნათესავი დაუნდობლად ამხელს ამ უკანასკნელს ჩადენილ დანაშაულში).

მამა-შვილი თეთრუაშვილები უარს აცხადებენ საბრალდებო დასკვნის გაცნობაზე, რადგან გამოძიების შედეგები გაყალბებულად მიაჩნიათ. ამ მიზეზით საქმეზე მომუშავე პირველი გამომძიებლის არუთინოვის აცილება მოუთხოვიათ.

10 სექტემბერს დანიშნულ პროცესზე „ჩაშკა“ არ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო.

შურისძიება კი სალოცავთან დაკიდებული აბრიდან და სავაჭრო დუქნის გახსნიდან დაიწყო.

**P.S.**- ის მაგივრად: იოან. 2.12 - 25-ში ვკითხულობთ: იერუსალიმს მისული ქრისტე ტაძარს შევიდა და რა იხილა ვაჭრები და ფულის დამხურდავებელნი, თოკისგან შოლტი გააკეთა, დაერია მათ, მაგიდები წაუქცია და ყველა ტაძრიდან გამორეკა. „აიღეთ ესე აქიდან და სახლსა მამისა ჩემისასა ნუ ჰყოფთ სახლ სავაჭროდ“.

ხათუნა აბაზაძე

# ლიქნითა და სიცრუით გაჟღენთილი წიგნი ასლან აბაშიძეზე

## მიხეილ მახარაძე

**დღეს** კარგთან ერთად ბევრი ცუდი წიგნი იბეჭდება. ერთი ასეთი წიგნია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნური ვერძაძის ლიქნითა და სიცრუით გაჟღენთილი - „ქვეყნის გადარჩენის ნიჭი“ (გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1995, რედაქტორი პოეტი შოთა ზოიძე), რომელიც მთლიანად აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის გვარს, წინაპარს, საქმიანობას, მოკლედ, მხოლოდ და მხოლოდ მის პიროვნებას ეძღვნება.

რას წარმოადგენს წიგნი გარეგნულად? ეს გახლავთ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული 188 გვერდიანი გამოცემა, რომლის 131 გვერდი სხვათა ნააზრევის ციტატებით ზომაზე მეტად გადატვირთულ ავტორისეულ წიაღსვლებს უკავია და მოიცავს განსხვავებული მოცულობისა და შინაარსის ხუთ თავს. წიგნის დანარჩენი ნაწილი (57 გვერდი) ეთმობა ბ-ნ ა.აბაშიძის სიტყვას (15 გვერდი) და ჩამონათვლებს, თუ რა გაკეთდა აჭარაში ა.აბაშიძის მმართველობის პერიოდში.

ბ-ნი ნ.ვერძაძის წიგნის გაცნობის შემდეგ გაუცხოების გრძნობა გეუფლება: თითქოს სხვა სამყაროში მოხვდი, სადაც აბსოლუტურადაა შეცვლილი ათვლისა და შეფასების წერტილები. კერძოდ, დემაგოგია და დეზინფორმაცია სიბრძნედაა გამოცხადებული, ხოლო სიცრუე და შანტაჟი შორსმჭვრეტელურ პოლიტიკად. აი, ამის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. 35-ე გვერდზე ავტორი ლაპარაკობს აჭარის თავკაცის დამოუკიდებელ პოლიტიკაზე, რაც თურმე გამოიხატება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაზრდით. სინამდვილეში, ეს გახლავთ განკერძოების პოლიტიკა, როცა რეგიონის ხელმძღვანელი კონსტიტუციის დარღვევით ითვისებს ცენტრალური ხელისუფლების უფლებებს.

ავტორი იმოწმებს ა.აბაშიძის სიტყვას, სადაც საყვედურია გამოთქმული იმის თაობაზე, რომ არა აქვთ დროული ინფორმაცია, თუ რა დადგენილებებსა და დოკუმენტებს იღებს საქართველოს მთავრობა და პარლამენტი. ამ აზრს ავტორი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ღებულობს. ახლა ცოტა სხვანაირად დავაყენოთ საკითხი: აჭარას ჰყავდა და ჰყავს საკუთარი დეპუტაცია პარლამენტში (საკუთრივ ა.აბაშიძე წინა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო); მინისტრთა საბჭოში კი ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. ახლა ვიკითხოთ: თუ სიმართლეს შეესაბამება ცნობა ინფორმაციის არაოპერატიულ მიწოდებაზე, ვის უნდა მოეთხოვოს ამისათვის პასუხი?

ბ-ნი ნ.ვერძაძე იხსენებს 1991 წლის აპრილის თვეში ქ.ბათუმში ჩატარებულ მიტინგს და რომ არა ა.აბაშიძის ბრძნული მოქმედება, ვინ იცის რით დამთავრდებოდა ყველაფერი, ესო. არადა, კარგადაა ცნობილი, რომ ეს მიტინგი ა.აბაშიძის ინიციატივით ჩატარდა (წინა ღამით ტელევიზიით მოსახლეობა მიიწვია მიტინგზე, აქაოდა ავტონომიას გვიუქმებენო) და როცა მიტინგი უმართავი გახდა, იგი უბრალოდ... დაიმალა. ყოველივე ამის შემდეგ რა დავარქვათ ნ.ვერძაძის მოწოდებულ ინფორმაციას, თუ არა დეზინფორმაცია!

გაკვირვებას იწვევს პროფესორ ნ.ვერძაძის აბსურდული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აჭარის ავტონომიამ დადებითი როლი შეასრულა საქართველოს მთლიანობის საქმეშიო (გვ. 66-68,91). მაშინ, როცა დღეს აღარაა საეჭვო, რომ ავტონომიების საბჭოურმა სისტემამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში, ნ.ვერძაძე და მისნაირად მოაზროვნენი კი, ყველაფერს გადატრიალებულად წარმოაჩენენ, შავზე თეთრს იძახიან და პირიქით.

წიგნის ავტორი დიდის ამბით იმოწმებს დაქირავებული კორესპონდენტის სახელით ცნობილი ერთი ჟურნალისტის დემაგოგიას - საქართველოს ერთ-ერთ რაიონში აჭარლები ავტობუსში შეყარეს, წამოიყვანეს და ჩოლოქთან - აჭარა-გურიის ადმინისტრაციულ საზღვართან უთხრეს - წადით თქვენს სათათრეთშიო. ამ, უკვე ყველასათვის ცნობილ დეზინფორმაციას და დემაგოგიას კვერს უკრავს პროფესორი ნ.ვერძაძე, (სიმართლეც რომ იყოს ასეთი ამბავი, თუ არა საკუთარი ქვეყნის ინტერესების არად ჩაგდება, განა ამას საჯაროდ ვინმე გააცხადებს?).

სპეციალურ თავში - „აჭარა თავგამოდებული ერთგულია საქართველოს ერთიანობისა“ (სათაურად ა.აბაშიძის სიტყვებია გამოტანილი) - ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირებას ეწევა პროპაგანდა. ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდეთ, შევნიშნავთ, რომ შეიძლება პოლიტიკოსმა, თანამდებობის პირმა გარკვეულ სიტუაციაში რაღაც თქვა, შეიძლება მას რაღაც წამოცდეს და ა.შ. მაგრამ 2-3 წლის შემდეგ მისი ეს წამონაცდენი პროფესორმა უტყუარ ჭეშმარიტებად გამოაცხადო, ამას ახსნა ვერ მოეძებნება. სანიმუშოდ ერთი ასეთი მაგალითი განვიხილოთ ხსენებულ წიგნიდან, სადაც ვრცლადაა დამოწმებული ა.აბაშიძის შემდეგი „აზრი“:

„როგორ გვგონია, ყოველივე ამან ათასობით შეურაცხყოფილი, განაწამები, უკუმიგრირებული, ასობით უმოწყალოდ ნაცემ-ნატანჯი ადამიანებისავის, აჭარის ადმინისტრაციული საზღვრის ახლოს დაჭრილებისა და მოკლულთა, ყველა ამის მოწმე ჰირისუფლებისათვის, მათი ნათესავებისა და ახლობლებისათვის, და ახალი მსგავსი უბედურების ყოველ წამს მომლოდინე მოქალაქეებისათვის უკვალოდ ჩაიარა? ასე მეთოდურად რატომ ვუპირისპირებთ ქართველებს ერთმანეთს კუთხურობის ან რაიმე ნიშნით?! ქვეყნის ბედზე მსჯელობისას, ალბათ, არ უნდა დაიმალოს, რომ ზოგიერთებს, უკეთეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან ქართველებად მივაჩნივართ და მივაჩნდით. სწორედ ასეთი ქართველი მხოლოდ თავის თავზე შეყვარებული და ყველა სხვათა მოძულე ადამიანებად და უღირს ქართველებად მიმაჩნია. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ უნდა გვცოდნოდა, ყველა მოვლენას, ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს, მათ შორის, უმნიშვნელოსაც კი, თავისი რეზონანსი მოჰყვებოდა.

ყოველთვის შეძლებს აჭარის ხელისუფლება დააცხროს და დააოკოს დაძაბული, სრულიად სამართლიანად აშლილი ვნებათაღელვანი, შეაჩეროს ადექვატური მოქმედებები? ოდესმე, ვინ შეძლო ან ახლა ვის ძალუძს გულიდან ერთიანად ამოვუღოთ მათ შეურაცხყოფისა და დამცირების გრძნობა? მოდით, ღიად ვთქვათ, ვის შეუძლია გათვალოს, რას მოგვიტანს ეს ყველაფერი ხვალ?“ (გვ. 122-123).

ბოლომდე თუ დავუჯერებთ ამ სიტყვების ავტორს, თურმე „ზემოთ აღნიშნული გულშემზარავი ფაქტები დაფიქსირებულია და ათასობით მეტრ ვიდეოფირზეა აღბეჭდილი“.

ეს ვრცელი ამონაწერი იმისათვის გავაკეთეთ, რომ მკითხველი კომენტარის გარეშეც კარგად გაიგებს, თუ სინამდვილეში ვინ აპირისპირებს კუთხეებს ერთმანეთთან, ვინ ცდილობს ბზარი შეიტანოს ერთიან ქართულ ცნობიერებაში და დაძაბოს სიტუაცია. აი, ასეთ სიმართლისაგან დაშორებულს და დემაგოგიურ აზრს, ნ.ვერძაძე წიგნში სხვადასხვა რაკურსით წარმოადგენს, როგორც უტყუარ ჭეშმარიტებას. ეს მით უფრო გასაკვირია პროფესორ ნ.ვერძაძისაგან, რომელსაც დიდი სამეგობრო წრე ჰყავს დედაქალაქში, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთი წლის წინათ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმავე წელს გამოსულ წიგნში კი, როგორც ვნახეთ, გვევლინება კუთხური დაპირისპირების პროპაგანდისტად და არც დეზინფორმაციებს ერიდება (მხედველობაში მაქვს სხვათა ასეთი აზრების მიწოდება მკითხველისადმი უკრიტიკოდ).

თუ არა გალმა შედავებისა და ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების პოლიტიკა, კონკრეტულ შემთხვევაში არ დაწერს, რომ ა.აბაშიძის მკვლელობაში ხელმოცარული ტერორისტი თბილისში პანთეონში დაასაფლავესო. ვიკითხოთ - ვინ გააკეთა ეს? სწორედ იმ ხელისუფლებამ, რომელმაც თავის დროზე ა.აბაშიძე აჭარის ხელისუფლებაში მოიყვანა და რომელთა მიმართაც ა.აბაშიძე ბოლომდე ერთგული დარჩა. მაშინ ვის ვედავებით?

კითხულობ ამ ადგილებს წიგნიდან და გიჩნდება ბუნებრივი კითხვა: ვის და რას ედავება ავტორი და ავტორის ენით ა.აბაშიძე?

წიგნში ფართო ჩამონათვალია იმისა, თუ რა გაკეთდა აჭარაში ა.აბაშიძის მმართველობის დროს (ეს ჩამონათვალი, მართლაც რომ განცვიფრებას იწვევს). ამასთან, არც თუ იშვიათად, ისმის კითხვა - საიდან და რა სახსრებით ყველაფერი ეს? ამ კითხვაზე, ვფიქრობთ, ნაწილობრივ პასუხს სცემს საკუთრივ ამავე წიგნში მოცემული ინფორმაცია. კერძოდ, ავტორი დიდად ემადლიერება ბათუმის საზღვაო პორტის მაშინდელ უფროსს წიგნის გამოცემაში თანადგომისათვის (რა თანადგომაზეა აქ ლაპარაკი, ამის გაგება მკითხველს არ გაუჭირდება). ეს პიროვნება მალე მგლის ბილეთით გაანთავისუფლეს და დღევანდელი აჭარის ცხოვრებაში მსგავსი მოვლენები არცთუ იშვიათია. ასე რომ, კითხვაზე - საიდან ყველაფერი ეს და ამდენი სახსრები, პასუხი არ უნდა იყოს ძნელი.

ნ.ვერძაძის წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს ლიქნი აჭარის ხელისუფლისადმი, და სიცრუე რეალურ ვითარებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ავტორი არაფერს ერიდება. უნებლიედ გაგახსენდება „დათა თუთაშხიადან“ ერთი ეპიზოდი, კერძოდ, არქიფო სეთურისადმი - მამა და მარჩენალისადმი მისი მრევლის უსიტყვო მორჩილება და მონობა. ამის მსგავსს ვხედავთ, სამწუხაროდ, დღევანდელი აჭარის გარკვეულ წრეებში. მაგრამ თუკი არქიფო სეთურის მონები გაძვალტყავებული და დაბეჩავებული ფენაა, აჭარის ხელისუფლებისადმი ამგვარ მონურ სულს ამჟღავნებს ძირითადად ნომენკლატურა და ე.წ. ინტელიგენცია.

აი, ასეთი განწყობისაა ნ.ვერძაძის წიგნი და მას არავითარი ღირებულება არ გააჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამოცემის მაღალ პოლიგრაფიულ ხარისხს. სამწუხაროდ, მხოლოდ ეს და სხვა არაფერი.

**მინაწერი**: 1996 წლის 13 აგვისტოს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა პროფესორი ნ.ვერძაძე. ერთი შეხედვით ამაში არაფერია უცნაური. ნ.ვერძაძე წლების განმავლობაში ამ უნივერსიტეტის პრორექტორია და დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი. მას, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ხელმძღვანელად მუშაობის დიდი სტაჟი და გამოცდილება აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში უნდა ჩატარდეს რექტორის არჩევნები ხსენებულ უნივერსიტეტში და შეიძლებოდა ყველაფერი წესითა და რიგით მომხდარიყო. მითუმეტეს, რომ რექტორის განთავისუფლებისა და დანიშვნის არანაირი უფლება არა აქვს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს (იგულისხმე ერთპიროვნულად ა.აბაშიძეს). მაგრამ ეს ისეთი რამაა, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს აჭარის დღევანდელი ხელმძღვანელობისათვის. ასეთია მისეული დემოკრატია, რაც ძალზე მოსწონს ზოგიერთს, მათ შორის თბილისიდან ბათუმში ჩასულ ბედის მაძიებელთ. რას იზამ, მიზანი ამართლებს საშუალებას, რასაც ნ.ვერძაძის წიგნი და მისგან გამომდინარე ლოგიკური შედეგიც ადასტურებს.


ბათუმი

# „კრემლის აბანოს“ იდუმალი გაუჩინარება



ეს კაცი გიჟი არ არის. 43 წლის სერგეი ბოჩაროვი ეშმაკურად იღიმება და გვეუბნება, რომ არ აპირებს ჩივილს და არც ცდილობს იპოვოს სურათი, რომელიც 23 აგვისტოს მოპარეს. „კრემლის აბანო“ ჩვეულებრივი მხატვრული ტილო არ იყო. თამამი, შეიძლება ითქვას, თავხედური ალეგორიული სურათი წარმოადგენს ბორის ელცინს, ვიქტორ ჩერნომირდინს, პირველი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეებს და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს დედიშობილებს, კრემლის წმიდა-გიორგის დარბაზში.

სერგეიმ ხუთი წელი შეალია ამ სურათს. მხატვარი ჩანახატებს რუსული ორთქლის აბანოებში და მთავრობასთან დაახლოებულ პირთა ვიწრო წრისთვის გამართულ პიკნიკებზე აკეთებდა. 12 თვის განმავლობაში იბრძოდა სერგეი, რომ სურათი მხატვართა სახლის დარბაზში გამოეფინა.

ვერნისაჟის გახსნის დღეს სურათი გაუჩინარდა. სერგეი გამოფენის დირექციას მიადგა, მაგრამ ზუსტი პასუხი ვერავინ გასცა. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ზემოდან გვიბრძანეს“. კედლიდან ჩამოხსნილი სურათი სარდაფში აღმოაჩინეს. ხუთი დღის წვალების შემდეგ სურათი ავტორს დაუბრუნეს.

„სურათი მანქანაში ჩავდე და სახელოსნოსკენ გავემართე – ყვება მხატვარი, – შუა გზაზე ავტოინსპექტორმა გამაჩერა. იგი მიმტკიცებდა, რომ მე მოძრაობის წესები დავარღვიე. რადგანაც წვიმდა, ინსპექტორმა შემომთავაზა მის მანქანაში გაგვეგრძელებინა საუბარი. მე ვამტკიცებდი, რომ არ გადამიკვეთია ღერძულა ხაზი, მილიციელი კი თავისას იმეორებდა. უცებ მან აზრი იცვალა, მოლბა და თავაზიანად ბოდიში მომიხადა. აი, მაშინ უნდა მეაზრა, რომ რაღაც ცუდი მზადდებოდა. მე ხომ კარგად ვიცნობ ГАИ-ს მუშაკებს! მანქანასთან რომ მივირბინე, უკანა კარი გაღებული დამხვდა, სურათი კი უკვალოდ გაქრა! მე ისევ მილიციელისკენ გამოვბრუნდი, მაგრამ ისიც აღარ იყო ადგილზე“.

სერგეიმ შეძლო მილიციელის პიროვნების დადგენა. იგი ГАИ-ს მუშაკი არ იყო და მისი მანქანის ნომერიც ყალბი აღმოჩნდა. „უბრალოდ, გამაცურეს და ეგ არის. ეს ჩემი პირველი გამოფენა უნდა ყოფილიყო მოსკოვში. ახლა უკვე მშვიდად ვარ, ასაღელვებელი არაფერი მაქვს, რადგანაც კარგად ვიცი, რომ მოსკოვში გამოფენის ნებას ვერ ვღირსები“. სერგეი კომუნისტია და ერთდროულად ულტრაპატრიოტიც, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის მოსისხლე მტრად მიიჩნევს. „მე არ მსურდა ხელისუფლების ლაქია ვყოფილიყავი. დიახ, კომუნისტი ვარ, რადგანაც სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის ვიბრძვი. ბრეჟნევისა და გორბაჩოვის ეპოქაში მრავალ უსიამოვნებას გადავეყარე. ელცინის დროსაც იგივე მეორდება“. სერგეი გვიმტკიცებს, რომ იგი, როგორც ხელოვანი, ჭეშმარიტების ძიებაშია. „სიშიშვლე ადამიანებს ათანასწორებს“ – ამბობს იგი. შეიძლება მხატვარი სწორიცაა, მაგრამ აი, კრემლმა სათანადოდ ვერ შეაფასა სერგეის სურათის „მხატვრული განძარცულობა“.

ივონ დე შიკოში
(„ფიგარო“ 27 აგვისტო, 1996 წელი)



# ნეონაციზმის საშინელი ხატი

ექვსი წლის საიდუმლოს სამ დღეში აეხადა ფარდა: ქალაქ კარპანტრას სასაფლაოს ერთ-ერთი შემბილწველის, იანეკ გარნიეს აღიარების შემდეგ, კიდევ სამი მისი თანამონაწილის დაკითხვა საშუალებას იძლევა აღვადგინოთ 1990 წლის იმ მაისის ღამის მთელი საშინელება. მათი მონათხრობი ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორი სიზუსტით იყო გათვლილი ოპერაცია და რაოდენ გულდასმით იყო შერჩეული ის ხერხები, რომლითაც იგი განხორციელდა. მართლაც რომ სპეციალურად ნაწრთობი სამხედრო რაზმის ღირსი ქმედებაა! ოთხივე პატიმარმა, პოლიციელების თანდასწრებით, დაწვრილებით აღწერა იმ ღამის საზარელი სცენა, რომლის დავიწყებას მთელი ამ ექვსი წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ. ერთადერთი, ვინც დაკითხვას არ ესწრებოდა, ჟან-კლოდ გრო იყო, რომელსაც თანამონაწილენი ერთსულოვნად ასახელებდნენ „ოპერაციის“ სულისჩამდგმელად და მეთაურად. ეს ნეონაცისტი, თავგადადებული ანტისემიტი 1993 წელს, 27 წლის ასაკში, მოტოციკლეტის ავარიამ იმსხვერპლა.

ოთხი წლით ადრე, 1989 წელს, გრო პირველად დაინტერესდა კარპანტრას ებრაელთა სასაფლაოთი. მან ბავშვობის მეგობარი ოლივიე ფენბრე მიიყვანა ამ განმარტოებულ განსასვენებელთან, რომელიც, გროს აზრით, აშკარად წარმოაჩენდა, თუ როგორი გავლენით სარგებლობდნენ ებრაელები მათ მშობლიურ მხარეში. განშორებისას მეგობრებმა პირობა დადეს, რომ „ერთ მშვენიერ დღეს კარგ სეირს მოაწყობდნენ“. ერთი წლის შემდეგ, 30 აპრილს ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეს, მეგობრებმა გადაწყვიტეს, ამ თარიღის აღსანიშნავად საფლავიდან ამოეთხარათ რომელიმე ებრაელის გვამი. მოსამზადებელი სამუშაოების დროს აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ორი კაცი ამ საქმეს თავს ვერ მოაბამდა: საჭირო იყო მეტი ღონიერი მკლავი. ბოროტმოქმედთა ჯგუფს კიდევ სამი ახალგაზრდა შეუერთდა. ბანდამ სამოქმედო ადგილიც შეარჩია, სასაფლაოს კიდეში მდებარე ემა ულმანის საფლავი. 8 მაისისთვის დაგეგმილი ექსპედიცია გულდასმით იყო მომზადებული: მაისურების სახელოებიდან ნიღბები გამოჭრეს და კვალის დასაფარავად ხელთათმანები და სპორტული ფეხსაცმელი მოიმარაგეს. იანიკ გარნიემ ნეონაცისტური პარტიის უნიფორმა ჩაიცვა და ამის გამო გროს წყრომა დაიმსახურა. ბანდა ბარებითა და წერაქვებით აღიჭურვა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ხუთი კაცი ორი მანქანით მიადგა სასაფლაოს. თავდაპირველად ათიოდე ალალბედზე შერჩეული საფლავი მოანგრიეს, მაგრამ ადრევე შეგულებულ აკლდამას ვერაფერი მოუხერხეს. ერთი ეს იყო, რომ მძიმე ლოდს რამდენიმე სანტიმეტრით ადგილი უცვალეს. თანამზრახველები ფელიქს ჟერმონის საფლავს მიადგნენ, მიწა გათხარეს და კუბოს ამოღებას შეეცადნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თოკები დავიწყებოდათ. ეს შეცდომა მყისვე გამოასწორეს - იქვე, მესაფლავის ჯიხურიდან სარწყავი შლანგი გამოიტანეს და კუბო საფლავიდან ამოიღეს. მიწაზე გართხმული გვამის დანახვაზე გროს რასისტულმა სიგიჟემ დარია ხელი. მან მოისურვა საფლავთან ვიღაცის მიერ დატოვებული ძველი ქოლგის ღერძზე აეცვა ცხედარი და ვერტიკალურად დაემაგრებინა.

ბნელეთის მოციქულთა ოპერაცია ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. სასაფლაოდან გამოსვლისას პატრიკ ლეონეგრომ ფიცის დადება მოთხოვა თანამზრახველებს: „ერთი სიტყვაც არავისთან დაგვცდება, არც მეგობარ გოგონებთან, არც მშობელ დედასთან“... ნუვო და გარნიე ავინიონში დაბრუნდნენ. დანარჩენი სამნი თავის გზას გაუყვნენ. გზაში „სამუშაო ტანსაცმელი“ და ხელსაწყოები სანაგვე ყუთებში გადამალეს. დარბეული საფლავი და შელანძღული გვამი მესამე დღეს აღმოაჩინეს. იმავე საღამოს იანიკ გარნიემ ტელევიზიით ნახა, თუ რა მწუხარე სახით დასცქეროდა საფლავს საფრანგეთის შინაგან საქმეთა და საკულტო დაწესებულებათა მინისტრი პიერ ჟოქსი.

მინისტრმა ბრალი დასდო უკიდურეს მემარჯვენეებს. პოლიციამ შეადგინა ავინიონის ნეონაცისტური დაჯგუფების წევრთა სია, რომელშიც ჟან კლოდ გრო და პატრიკ ლეონეგროც მოიხსენიებოდნენ, მაგრამ ორთავემ შესძლო თავი დაეძვრინა პოლიციის მეთვალყურეობისაგან, მით უმეტეს, რომ საერთო აზრით, სასაფლაოზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო 9 მაისს და არა წინადღით, როგორც ეს სინამდვილეში იყო.

ვანდალური აქტით გამოწვეულმა რეაქციამ, საბოლოო ჯამში, განხეთქილება შეიტანა მცირერიცხოვანი ბანდის რიგებში. ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც აშკარა გავლენა ჰქონდა თავის ხელქვეითებზე, ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო დაეტრაბახა, რომ ადრეც ჰქონია საქმე პოლიციასთან. გრო ორჯერ წარსდგა სასამართლოს წინაშე და ერთხელ ექვსთვიანი პატიმრობის ვადაც მოიხადა შეიარაღებული თავდასხმისათვის. 1989 წელს მან დასტოვა ნეონაცისტური პარტიის რიგები, რადგან ჩათვალა, რომ პარტიას ერთობ მოკრძალებული გეგმები ჰქონდა. გრო აქტიურ ქმედებას ესწრაფოდა. გროს ლეონეგრო აყვა, მოგვიანებით კი ჯგუფს ოლივიე ფენბრი შეუერთდა. ახალგაზრდა ნაცისტებმა ქალაქის ცენტრში დაიდეს ბინა. აქ ცხოვრობდნენ და აქვე გადიოდნენ წვრთნას. ერთი წლის შემდეგ იანიკ გარნიე და ბერტრან ნუვო შემოიამხანაგეს. გარნიეზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვაჟკაცური გარემო, ბოქსი და კარატე, მაგრამ ჰიტლერის „Mein Kampf“ („ჩემი ბრძოლა“) წაკითხვა ვერ შესძლო, ეტყობა ნაცისტურმა იდეოლოგიამ ვერ მოხიბლა, გრო კი აძალებდა, გინდა თუ არა, წიგნი ბოლომდე უნდა წაიკითხოო.

ცოტა ხანიც გამოხდა და ჯგუფი დაიშალა. ნუვომ უცხოურ რეგიონს შეაფარა თავი, ლეონეგრო კი სუპერმარკეტის გამყიდველი გახდა. ორთავე დაოჯახდა და ორთავემ, როგორც გამოირკვა, ცოლებს გაანდო საიდუმლო. ერთადერთი გარნიე იყო, რომელსაც ახლობელი და სანდო მეგობარი არ აღმოაჩნდა. ცხოვრებაც ვერ აეწყო, დღითი დღე სულ უფრო ქვემოთ ეშვებოდა. ბინიდან ბინაში გადადიოდა და სამსახურსაც არვინ თავაზობდა. გარნიე საკუთარ უბედურებას იმ დაუვიწყარი ღამის თავგადასავალს აბრალებდა, სწორედ იმ წუთიდან დაიწყო მისთვის უბედურებათა მთელი რიგი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს იგი პოლიციის კომისართან მივიდა და ყველაფერი აღიარა. შემდეგ მისი თანამზრახველებიც დააპატიმრეს, გროს გარდა, რომელიც ერთი წლის გარდაცვლილი იყო. დღეს ყოველივე გაცხადდა და ექვსი თვის გაურკვევლობას, უამრავ ჭორსა და გამონაგონს დასასრული დაედო. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, საფლავთა დამარბეველი ნეონაცისტები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

(„ექსპრესი“, 1996 წ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი – წუთშესვენება

## დღევანდელი ნომრის სტუმარია ჟურნალისტი მერაბ ბერაძე

* * *

ზურაბ ქურულს, ჩვენს კორესპონდენტს, ჭამის მადა, იცოცხლეთ, გვარიანი ჰქონდა. ამის გამო იყო თუ საერთოდ, სევდიანი მუსიკა უყვარდა, პანაშვიდსა და ქელეხს არ დააკლდებოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს მიცვალებულებს არ ასაფლავებენ და ამ დღეებში მეტისმეტად უგუნებოდ გრძნობდა თავს. ერთ ორშაბათდღეს, იგი არცთუ ისე ახლობელ ოჯახს ზუსტად სადილობის დროს ესტუმრა. რომ გითხრათ, მასპინძელს სახე გაუნათდა მის დანახვაზე-მეთქი, ტყუილი გამომივა, მაგრამ სახლში, რასაკვირველია, მაინც შეუშვეს.

ამაზე გამახსენდა: ჭიჭიკიას დაუკაკუნეს თურმე კარზე:



– რომელი ხარ?

– ქურდები ვართ, გაალე კარი!

– აგაშენათ ღმერთმა, მე მეგონა, სტუმრები იყავით, გაუხარდა მასპინძელს.

ჰო, იმას ვყვებოდი, სახლში მაინც შეუშვესმეთქი. ის კი არა, მოიკითხეს კიდევაც, სად დაიკარგეო, მერე ნარდიც ითამაშეს, ჭადრაკიც, დომინოც, მაგრამ რატომღაც სადილზე არავინ ეპატიჟება. მიხვდა ზურაბი, საქმე ცუდად რომ იყო, წასვლაც დააპირა, მაგრამ ისეთი მშიერი გახლდათ, ადგომის თავიც აღარ ჰქონდა. ბოლოს, პატარა ბიჭი დაიმარტოხელა და ხმადაბლა ჰკითხა:

– ბიძიკო, რომელ საათზე სადილობთ?

– დედამ თქვა, როგორც კი წახვალთ, იმ წუთში დავსხდებითო...

* * *

ერთ ზღვისპირა ქალაქში ვართ. გახურებული საკურორტო სეზონია და უამრავი ტურისტი, დამსვენებელია ჩამოსული, როგორც იტყოდნენ ხოლმე, ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულიდან. ჩაის ფაბრიკიდან რეპორტაჟი გვქონდა გასაკეთებელი. კარგა ხანს ვიმუშავეთ. ვინც ჩასაწერი იყო, ჩავწერეთ, ფაბრიკის ეზო, საამქროები გადავიღეთ, სასადილოშიც მიგვიპატიჟეს, მაგრამ ჭიპრიკამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

– არა, გენა-ცვალე, ჭ-ამა არ მინ-და, ერთი ზღვაში ჩამა-ყოფინეთ თავიო.

მასპინძლები გვეხვეწნენ, წავიხემსოთ და მერე სადაც გინდათ, იქ წაგიყვანთო... ჭიპრიკა ერთს რომ იტყოდა, მერე მარშალი როკოსოვსკიც ვერ გადაათქმევინებდა. კი, ბატონო, დაგვეთანხმდნენ ფაბრიკის მესვეურნი. ჩაგვსვეს მანქანაში და ზღვისკენ გაგვაქანეს. ჭიპრიკა ყურადღებით ათვალიერებს გამვლელ-გამომვლელს და თვალს მიკრავს. მივხვდი, რაღაც გეგმა ჰქონდა და ჯერ არ მიმხელდა... ზღვის პირას გავაჩერეთ მანქანა.

– არ-ა, აქ არა, – თავი გააქნია ჭიპრიკამ, და მიამიტად იკითხა: – სა-დღაც ახ-ლო-მახ-ლო ტურბაზაა, არა?

– ასე გეთქვა, შე კაცო! – გაეცინა ჩაის ფაბრიკის დირექტორს... – მაინც გინდა ზღვაში ჩასვლა?

– არა, ხატ-ზე კი არა მა-ქვს და-ფიცე-ბული... მე რომ მკი-თხოთ, ვინ-ც ტურ-ბა-ზა გამოი-გონა, ლე-ნი-ნურ პრე-მია-ზე წარვადგენდი.

– მერე, მისცემენ, რო? – ვკითხე ჭიპრიკას.

– ქალ-ებ-ი მისცემენ, – დაასკვნა ჭიპრიკამ.

დირექტორი ადგილობრივი კაცი იყო; ბუნებრივია, რაიონში ყველას იცნობდა, მათ შორის, ტურბაზის უფროსაც. საქმე მალე მოგვარდა. მშვენიერ ფანჩატურში გაიშალა სუფრა. გაიშალა და გაშალა ფრთები ჭიპრიკამ. იმდენი ჩემს ცხოვრებაში არ მიცინია. ჩაის ფაბრიკის დირექტორი ბალახზე გორავდა, ტურბაზის უფროსი ეხვეწებოდა, გაჩერდი, წნევამ ამიწიაო... აბა, ეშხში შესულ ჭიპრიკას რა დააოკებდა? ყველაფერი მიაყარა, ძველი და ახალი... გაგიჟდა ტურბაზის დირექტორი, შენ ვინ ყოფილხარ, რაც გინდა, მთხოვე და შეგისრულებო...

– ახლა შე-ნ უკ-ეთ არ იც-ი, აქ რატ-ომ მოვ-ედით? – ეშმაკურად ჰკითხა ჭიპრიკამ.

– მოგიკვდეს ჩემი თავიო! – გაუხარდა დირექტორს, მე თქვენ გეტყვით და, სათანადო კადრები არ ჰყავდა.

– აი, კა-ცი! – გაუსწორდა ჭიპრიკას.



– როგორი მოგართვათ, ბატონო?

– კა-ცო, მე შა-ხაბა-ზი ხომ არ ვა-რ, ქა-ლი იყოს, ოღონდ სახლიდან ყვე-ლაფე-რი ჰქო-ნდეს წამო-ღებუ-ლი...

– ეგ ვერ გავიგე? – გაუკვირდა დირექტორს.

– რა გაგება უნდა, მკე-რდი თავის ად-გილ-ზე, უკანა ნა-წი-ლი კი-დე-ვ თავის ადგილ-ზე...

– მაგაზე ლაპარაკი არ იქნება, – დაამშვიდა მასპინძელმა. განკარგულება გასცა და ცოტა ხანში პოდიუმზე ლამაზ-ლამაზი ქალები რომ გამობრწყინდებიან ხოლმე, ისეთი ალლუმი მოეწყო ჩვენი ფანჩატურის წინ.

– ვოტ ეტო პანი-მაიუ, პა-ტ-ივის-ცემაც ასეთი უნდა! – ხარობს ჭიპრიკა და მე მიყურებს, – მერაბ, შენ რაღაც საეჭ-ვოდ იქცე-ვი... რა-მეს ხომ არ უჩივი, ბიჭო?

– ჭიპრიკ, მე ჩემს თავ მოვეული, მიდი, რასაც გთავაზობენ, იმათში ამოირჩიე...

ჭიპრიკა თვითონ პატარა ტანისა კი იყო, მაგრამ გაირკვა, რომ დიდი ქალები უყვარდა და ამიტომაც ერთ ვეებერთელა ტურისტზე შეაჩერა მზერა. დირექტორმა მისი მოწონებული გვერდით გაიხმო და ერთი სიტყვა უთხრა მხოლოდ. ქალმა გაიღიმა და ჩვენკენ გამოიხედა. უფროსმა თითით ანიშნა ჭიპრიკაზე და... იმ ტურისტ ქალბატონს თურმე თვითონ ჰქონია სახვეწი დირექტორთან – ორ დღეში საგზური უთავდებოდა და გაგრძელება სურდა... ჭიპრიკამ დროსტარების თავისი ვარიანტი შესთავაზა ტურბაზის უფროსს: ოთახი ან კაიუტა არ მინდა, სადმე ბუნების წიაღში გავალთ, დანარჩენი კი ჩვენ ვიცითო... ქალი სიამოვნებით დათანხმდა, მაგრამ მერე, როცა სკამიდან წამომდგარი ჩია ტანის ჭიპრიკა დაინახა, სიცილისაგან კინაღამ ჩაბჟირდა. ისე, მართლა დიდებული სანახავი იყო: დევივით მანდილოსანი და ლოტოს კოჭივით პატარა ჭიპრიკა...

– ჰო, იცი-ნე, იცი-ნე, ნა-ხე, რას გი-ზამ? – დაემუქრა „სიძე"...

ქალმა უფრო უმატა კისკისს. ამის შემხედვარენი, ჩვენც მიწაზე ვგორავდით. მოკლედ, ჭიპრიკა ტურისტმა იღლიაში პორტმონესავით ამოიჩარა და მხიარულმა წყვილმა დატოვა ტურბაზის ტერიტორია. დანარჩენი თვითონ ოპერატორის მონაყოლიდან ვიცი:

– ტყე-ს რ-ომ მივადექით, ვიფიქრ-ე, თავ-ზე არა-ვინ დაგვ-ად-გეს-მეთქი და ღრმა-დ შევტოპეთ... გავი-ხედ-გამოვ-ვიხე-დე, ვნახე, არ-ავინ იყ-ო და საქ-მეს შევუ-დექით. ეს დედა-გაგ-ლე-ჯი-ლი კი, იცი-ნის და იცი-ნის. მე ვუთხარი, ცოტა ხა-ნი მაცალე და ატი-რდე-ბი-მეთქი... ამა-ზე სულ გადაირია, შენ მე რო-გ-ორ უნდა ამატირო, ჩემ-ს ქალ-აქშ-ი საზენიტო რო-ტას ვემ-სა-ხუ-რები ყოველ-ლ დღე-ო!.. მა-გარ-ი პრო-ფესი-ონა-ლი ყო-ფილა... ახ-ლა, მართა-ლი გით-ხრა, სა-თა-ნა-დო ეფექტს ვერ მივა-ღწიე... და ცო-ტა ცუდ ხა-სიათ-ზე დავდე-ქი. ეტ-ყო-ბა, შევ-ეცო-დე და მოფე-რე-ბა დამი-წყო. ჩემს სა-ხეზე ლამა-ზს და მო-საფე-რე-ბელს რა-ს ნახავდა? ბო-ლოს ჩე-მი წამ-წა-მე-ბი მოე-წო-ნა და მო-მია-ლერსა: – კაკიე უ ტე-ბია დლი-ნნიე რეს-ნიც-იო?!



ამი-ჩუყდა გუ-ლი; დე-და-ჩე-მის შემ-დეგ ალა-რავ-ინ მომფე-რე-ბია და ბოლო-მდე გავ-ენ-დე.

– ა ტი ზ-ნა-ეშ, პაჩე-მუ უ ნე-ნია დლი-ნნიე რესნიცი-მეთქი? ნე ზნა-იოუო, გააქ-ნია თავი. მე ვუთ-ხა-რი, პატამ-უ ჩტ-ო, ვ დეტ-სტვ-ე ია მნოგო პლა-კალ-მეთქი.

– ლუჩ-შე ბილო-ბ, ეს-ლი ტი მნო-გო პისი-ლო, გადაიკისკისა ამ შობელ-ძაღლ-მა... მოკლედ, კი-დევ რ-ომ გავ-აგრძე-ლეთ ჩვ-ენი სა-ქმე, თა-ვზე არ დაგვადგა მე-ტად მოლუ-შ-ულ – სახია-ნი მილი-ციონერი?! აქ რა-ს აკეთებთო? თურ-მე ის-იც ენ-ას უკი-დებ-და. რას ვა-კე-თებ და ვოლეი-ბოლს ვთამაშობ-მეთქი... შენ ვის დას-ცი-ნიო... მაგ ორ-მაგ შეურაცხ-ყოფ-ას არ გა-პატ-იებო.... რა გინ-და, მე ვუთხ-არი, კა-ცი არა ხარ, გა-გვა-ნებე რა თავი-მეთქი. კა-ცი რომ ვარ, იმი-ტომაც ვერ და-გა-ნე-ბე-ბო... ვატყობ დაპა-ტიჟება უნდ-ა ჩემს ქალ-ბატონზე. ეს ტურ-ბაზ-ის დი-რექ-ტორ-ის ფონ-დიდან ა-რის, თუ ას-ე გა-ჭირ-ვებუ-ლი ხ-არ, სხვ-ას შეგ-ირჩევ-მეთქი. ვ-ის დას-ცინი, წამოდი, ახ-ლავე მი-ლი-ციაშიო... ჰო, მაგ ჭკუა-ზე ვარ, ამ ან-გე-ლოზს თა-ვი დავა-ნებო და მილ-იცია-ში წამოგ-ყვემეთქი... მაშინ ად-გილ-ზე გადა-იხადე ჯარი-მაო... ვხე-დავ, არ მე-შვება.

– რამდე-ნი?

– სა-მი მანე-თი!

– შე-ნ სუ-ლე-ლი ხომ არ ხა-რ, სამ მა-ნე-თად ეს თა-ვისი ქა-ლაქ-ის სა-ზე-ნი-ტო რო-ტას ემ-სა-ხუ-რება... თუ გინ-და, მანეთ-ნახე-ვარს მე დავ-დებ, და-ნარ-ჩე-ნი ამან გა-და-იხა-დოს...

– ჩემ-თვის სუ-ლერთიაო! – ლაპა-რაკი ქარ-თულად მი-დის, მა-გრამ ქა-ლი შტე-რი ხო-მ არ არ-ის, ყვე-ლაფერს ხვდება: ოტ-დაი დენ-გი ი პუს-ტ უბი-რა-ეტს-ია ოტს-უდაო, – მითხრა.

ამო-ვი-ღე ორი მა-ნე-თი, მაგ-რამ არ გამო-მართვა: გი-ნდა – თუ არა, სამი უნდაო, ვი-თომ მრიცხ-ველზე ეწერა.

არ გი-ნდა და, საე-რთოდ არ მოგ-ცემ-მეთქი.

– წა-მო-დი მილი-ცია-შიო, – არ მეშ-ვე-ბა.

– რა გინ-და, ძმაო. ეს ქა-ლი ხომ არ გამი-უპატი-უ-რე-ბია, თვი-თონ თანა-ხმაა და მილი-ციის უფროსს რე-ზო-ლუციას ხომ არ დავადებინებ...

არ შეიძლება, ამხა-ნა-გო, აქ ასეთი რაღა-ცეების ჩადენა. ეს დას-ვენების ზონაა, თ-თ-ანაც, ბა-ლახი იჭმუჭნება.

– შე შობელ-ძაღლო, – ვიყვი-რე, მე, ამხე-ლა ქალს ვჭმუ-ჭნი და ხმას არ იღ-ებ, ამ ბა-ლახ-მა კი რო-გორ შე-გაყ-ვა-რა ასე თავი...

**ანეკდოტები და კურიოზები**

**ტელევიზიაში**



არც რა მიმივლა ცირილმა,

არცა ცრემლემის ღენამ,

მიმივლა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამ



* * *

თელავში ვართ. მევენახეთა რესპუბლიკური თათბირია და დარბაზში ტევა აღარ არის. დღის წესრიგში ერთი საკითხია: კახეთი გვალვებმა შეაწუხა და არის დიდი სჯა-ბაასი, როგორ უშველონ ვენახს.



– ცისტერნებით მოვიტანოთ წყალი...

– ვერტმფრენიდან დავაწვიმოთ, ცოდოა ვენახი...

– იქნებ დროებით მილები გამოვიყვანოთ...

ისმის წინადადებები დარბაზში, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერზე შეთანხმდნენ. ბოლოს სიტყვა ცკ-ს ინსტრუქტორმა ითხოვა:

– თქვენი მიკვირს, – მიმართა მან დარბაზს, – არ გრცხვენიათ, ხალხნო, მე, ქალაქელმა კაცმა უნდა გასწავლოთ კახელებს ვენახის გადარჩენა?

ხალხს წუთით იმედი მიეცა.

– რას გვთავაზობთ, ცეკადან დაურეკავთ ღმერთს? – იხუმრა ვიღაცამ.

– ჩვენ ეგეთი ხუმრობები არ გვიყვარს და გაითვალისწინეთ! – თითი არ დაუქნევია, მაგრამ ნათქვამში მუქარა მაინც შეიმჩნეოდა.

– ბრძანე, ბრძანე! – შემრიგებლურად დაუძახეს წინა რიგებიდან.

– გვალვა საშინელი რომ არის და ადამიანი უხსოვარი დროიდან ებრძვის მას, ეს არ არის ახალი ამბავი... სწორია?

– სწორია! – შეაგებეს დარბაზიდან.

– მაგრამ ჯერჯერობით ეფექტურ საშუალებას, მორწყვის გარდა, მან ვერ მიაგნო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ფარ-ხმალი დავყაროთ...

– ჰა, გვითხარი, თუ რამე იცი... ტყუილად გავცდით ამდენი ხანი...

– მაცალეთ. მეთოდი მეტად მარტივი, მაგრამ ძალიან ეფექტურია. პრაქტიკა გვიჩვენებს, გვალვის დროს, ვენახი და, საერთოდ, მცენარე რომ არ დაიჩაგროს, ფართობი უნდა გაითოხნოს.



– ეე! – გაისმა დარბაზში.

– ე არ უნდა მაგას... ასეა ეს... მიწა რომ გაითოხნება, ტენიც წამოვა სიღრმიდან...

– მერე?..

– რა მერე, ტენი წამოვა და ვენახიც ამოისუნთქავს...

– რომ არ უშველოს?

– კიდევ უნდა გაითოხნოს...

– მაშინაც რომ არაფერში წაადგეს?

– კიდევ გათოხნეთ! – ჯიუტად გაიმეორა ინსტრუქტორმა.

– ამოდენა თოხნა, ცოტა არ იყოს, საშიშია! – დაიძახა დარბაზიდან ხანდაზმულმა გლეხმა.

– რატომ?

– ემანდ ვენახი არ დაიტბოროს...

# «ხალხს ვატყუებთ, რომ რვა პურის ქარხანა თბილისში პრივატიზირებულია»

– განაცხადა პრესკონფერენციაზე საზოგადოება „მოძრაობა სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი ყორღანაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ საზოგადოება ჩართულია მოსახლეობის პურით მომარაგების ნორმალურად წარმართვის საქმეში. 15 ივნისიდან პურის ფასების ლიბერალიზაციის გამოცხადებით, პურის პრობლემა არ გადაჭრილა. მოხდა ისე, რომ აგროინვესტის ხაზით შემოტანილი რუმინული ხორბალი, რომელიც საფურაჟედაც არ ვარგოდა, ფოთში გადმოიტვირთა, რადგან მოსახლეობისათვის პურის მიწოდების შეწყვეტის საშიშროება იყო (ეს მაშინ, როცა ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს ხორბლის მარაგი ჰქონდა).

გ.ყორღანაშვილი: რვა პურის ქარხნიდან არცერთი კერძო პირის მფლობელობაში არ არის. იგი სახელმწიფოსია. თუ გავანთავისუფლებთ ფასებს, მაშინ პურის ობიექტებიც უნდა გავანთავისუფლოთ. ამის გამო თითოეულ ქარხანას დიდი თანხები აქვს გამოსასყიდი და ამიტომ პურის ფასის დამახინჯებითა და სხვადასხვა საშუალებით ცდილობს ფულის შოვნას. უმაღლესი ხარისხის პური ხშირად არ არის უმაღლესი. ხარისხის გაუარესებით კი ზიანს ვაყენებთ მოსახლეობას (პურის მჟავიანობა იწვევს კუჭის წყლულს და სხვა დაავადებებს). თუ მსოფლიო ბაზარზე პურის ფასი არ შეიცვლება, არც ჩვენ უნდა შევცვალოთ იგი.

საზოგადოება „მოძრაობა სიცოცხლისათვის“ პოლიტიკიდან სრული ჩამოშორების შედეგად გამონთავისუფლებულ უზარმაზარ პოტენციალს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში აბანდებს. საზოგადოებამ დაიწყო მუშაობა სხვადასხვა პროექტებით. იგი იღებს იჯარით მიწას (მარნეულის რ-ში), რათა მოიყვანოს მაღალი ხარისხის სათესლე ხორბალი.

ხდება სამუშაოს მაძიებელთა სრული აღრიცხვა და დასაქმების რუქის შედგენა. იქმნება საინფორმაციო ბანკი, რათა პოტენციურ ინვესტორს ჰქონდეს წარმოდგენა ქვეყნის საწარმოო ძალებზე. საზოგადოება აპირებს მიაწოდოს თავისუფალი პრესა ყველა სოფელსა და ბიბლიოთეკას. იმედოვნებენ, რომ წამოწყებას სოროსის ფონდი დააფინანსებს.

„რუსთავი-2“-ის აკრძალვის თაობაზე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს არის ანგარიშსწორება საღი აზროვნების მიმართ.

დასასრულს ბ-მა გიორგი ყორღანაშვილმა მოუწოდა ყველა პოლიტიკურ საზოგადოებას თანამშრომლობისაკენ.

ხათუნა აბაზაძე



# 11 მილიონი დოლარი უანგაროდ

ქველმოქმედება ცივილიზირებული საზოგადოების ერთ-ერთი მახასიათებელთაგანია.

განსაკუთრებით მისაბაძია და აღნიშვნის ღირსია იმ ჩვენი (სამწუხაროდ, არამრავალრიცხოვანი) თანამემამულეთა [illegible] დომება, ენთუზიაზმი და საქველმოქმედო ინიციატივა, რასაც ისინი აკეთებენ საქართველოს მოსახლეობისათვის იმ დროს, როდესაც სხვებმა, აქ მყოფებმა, არაერთი მილიარდი დოლარი, მოპოვებული თაღლითური გზით, გაიტანეს უცხოეთის ბანკებში.

გვინდა გაგაცნოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სან-ფრანცისკოში დროებით მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ახალგაზრდა იმედისმომცემი ექიმი, ბ-ნი დავით სიგუა, რომლის რუდუნებითა და მუხლჩაუხრელი შრომით, 1992 წელს ჩამოყალიბდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯორჯიენ ფაუნდეიშენ“-ის ფონდი, რომლის პირველი პრეზიდენტი თავად გახლდათ.

ამ ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს მოსახლეობის გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ფენებს უფასო სამედიცინო დახმარებით, სამკურნალწამლო მედიკამენტებით, სამედიცინო ხელსაწყო-იარაღებითა და სამედიცინო აპარატურით.

„ჯორჯიენ ფაუნდეიშენ“-ის ფონდში დაარსების დღიდან დღემდე დავითთან ერთად წამყვან ბირთვს წარმოადგენენ მერლ მაქინი - ამჟამად ამ ფონდის პრეზიდენტი (დავით სიგუა ფონდის პრეზიდენტობიდან გადადგა 1996 წელს და ხელი მიჰყო საექიმო პრაქტიკას რეზიდენტურაში), ჩარლზ კლემონსი, ჟორდ ფლედი, ჯიმ ვკეისტი და სხვები.

ამ კეთილ საქმეში ფონდს მხარში უდგანან ნიუ-იორკში მცხოვრები ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები: გივი და ელისაბედ ზალდასტანიშვილები, კონსტანტინე ერისთავი, მარიამ ჭავჭავაძე.

საქართველოში ფუნქციონირებს ამ ორგანიზაციის ფილიალი, რომელსაც ხელმძღვანელობს დავით სიგუას დედა ქ-ნი ნელი ჯავახიშვილი, რომელსაც დაარსების დღიდანვე [illegible] უდგას ექიმ-სპეციალისტთა ჯგუფი: ირაკლი მეგრელაძე, ბელა ორჯონიკიძე, რამაზ ლამაშიძე, ნინო ჟვანია, ირმა გოცირიძე და სხვები.

აღნიშნულმა ორგანიზაციამ დაარსების დღიდან დღემდე თერთმეტი მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი (სამკურნალწამლო მედიკამენტები, ხელსაწყო იარაღები, სამედიცინო აპარატურა, ინვალიდთა ეტლები) ჩამოიტანა საქართველოში და დაარიგა ყველა რაიონში.

გარდა ჰუმანიტარული სამედიცინო ტვირთის შემოტანისა, ამ ორგანიზაციის ინიციატივით ჩამოყვანილ იქნა ამერიკულ ექიმ-ოფთალმოლოგთა ჯგუფი, რომლებმაც უანგაროდ ორასამდე სხვადასხვა სახის ოპერაცია გაუკეთეს ჩვენს ავადმყოფებს.

ამჟამად ამ ორგანიზაციის მიზნობრივი პროგრამით ხორციელდება დახმარებები ომის ინვალიდებზე და შეფობა ტუბერკულოზურ დაავადებებზე კახეთის რეგიონში, - კერძოდ, საგარეჯოში.

ნათქვამია: კარგი ქენი, ქვას დადევი, გაივლი და წინ დაგხვდებაო. ასეა, კეთილი საქმე არ იკარგება და როცა საქართველო ფეხზე დადგება, წელში გაიმართება, სათანადო პატივს მიაგებს ყველას, ვინც ამ უკიდურესად გაჭირვების ჟამს გვერდით დაუდგა, სულიერად გაამხნევა და არც მატერიალური დახმარება დაიშურა. მათ რიგში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯორჯიენ ფაუნდეიშენ“-ის მესვეურები და მისი თანამდგომებიც არიან.

დიდი მადლობა მათ სრულიად საქართველოსაგან.

რობერტ ყურაშვილი,
ექიმი



# დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“

1997 წლის პირველი ნახევრისათვის. ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე“-ს (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ უბნებში. შეგახსენებთ მისამართებს:

- დ.გურამიშვილის გამზ. №30 ტელ. 60–80–22
- ივ.ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №14 ტელ. 95–87–36
- ქეთევან წამებულის (ყოფ.შაუმიანის) გამზ. 61 ტელ. 74–14–47
- აკ. წერეთლის გამზ. №73 ტელ. 34–75–51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ. 42 ტელ. 37–47–49, 93–43–97

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა: სახლში, სამსახურში, უახლოეს საფოსტო განყოფილებაში, „მაცნეს“-ს ცენტრალურ ოფისში.

„მაცნე“ გარანტია ხელმომწერისათვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების.

ენდეთ ხელმოწერაში „მაცნე“-ს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.



თარაზულად: 5. სამხრეთ ამერიკის ზომიერი სარტყლის ველებიდან მონაბერი ქარი არგენტინასა და ურუგვაიში; 7. სუპერდეტექტივ[…] ა.შვარცენეგერის მონაწილეობით; 8. დამატებითი კუთხის სინუსი; 11. რუსეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში წამოწყებული აგრარული რეფორმებ[…] […]ის ავტორი; 13. ლითონის კონსტრუქციების ასაწყობი და შესადუღებელი მოწყობილობა; 14. ბული, სიმხურვალე; 15. დაწესებულება, რომელი[…] […]აგროვებს, იცავს და დასათვალიერებლად გამოფენს ექსპონატებს; 18. მღვდელმსახურებისას ლოცვების ბოლოში დართული სიტყვა; 20. ესკი[…]მოსების და ჩრდილოეთის სხვა ხალხების ტყავგადაკრული ნავი; 21. მოხეტიალე ცირკი (წარმოდგენებს მართავს ბრეზენტის კარავში); 22[…] […]ტრაბახი; 27. მინერალი; 29. წერილობითი პირობითი ნიშნების სისტემა ამა თუ იმ დარგში; 30. ანტიფრანგული პარტიზანული მოძრაობ[…] ესპანეთში XIX საუკუნეში; 31. სამხედრო გემების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი შენაერთი; 33. გვარი, მოდგმა; 34. კუნძული სამხრე[…] ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან, სადაც მდებარეობს ბუნების ერთ-ერთი დიდი საოცრება - „ასფალტის ტბა“ (მისი მარა[…]გი ავტომატურად ივსება); 37. მხედველობის უქონლობა; 38. სამკაული; 39. უდიდესი ნეტარება ბუდისტისათვის.

შვეულად: 1. სოფელი კახეთში; 2. მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხი; 3. დამოკიდებულება რაიმე საქმისადმი, საკითხისადმი[…] 4. მსოფლიო ოპერის მშვენება - მილიარდერ არისტოტელ ონასისის გულის დამპყრობი; 5. სამოსელი; 6. დავალების შემსრულებელ[…] დაქირავებული პირი; 9. საქონლის სადგომი; 10. რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი; 12. ფიროსმანის ნახატი; 16[…] საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წ. 7-12 მაისს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე და დამატებით შეთანხმებაზ[…] ხელისმომწერი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით; 17. მოთხოვნის, ვალდებულების აღსრულების უზრუნ[…]ველსაყოფად შეპყრობილი პირი; 19. სარკინიგზო მოწყობილობა შემადგენლობის ერთი ხაზიდან მეორეზე გადასაყვანად; 20[…] ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 23. ულაგამო ალვირი; 24. წანაზარდი ცხოველის ფეხის ბოლოზე; 25. ერთ ან ორკორპუსიან[…] აფრიანი გემი ბორტს გარეთ გამოტანილი ტივტივა-ბალანსირით; 26. ჭენება (ცხენისა...); 28. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი[…] საუკეთესო ფეხბურთელი; 32. კაზაკთა ჯარში ან სოფლებში არჩეული ან დანიშნული პირი; 33. ნათესაობის გრძნობა, სიყვარული[…] სიბრალული (სასაუბრო სიტყვა); 35. ზუსტი ხელსაწყოების დასამზადებლად გამოყენებული შენადნობი (გათბობა-გაციებით ზომა[…] თითქმის არ იცვლის); 36. სოფელი ლანჩხუთის რაიონში

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. მავიტომ; 4. კუდრაჭა; 8. ქუქუნა; 9. ეგრი; 10. როკო; 11. ოფლი; 13. ოსტატი; 16. ეკიუ; 18. ბოდიალი; 20. რასიზმი; 23. მერე[…] 24. ფააფუ! 25. საბზა; 27. ეპოქა; 28. რკინა; 30. ტატო; 32. ადრიანო; 34. იბარური; 36. შაბი; 37. მინტაი; 39. ამინ; 41. მანუ; 42. ლორი; 43. რაფიკა; 44[…] სანაცია; 45. მოზარდი.

შვეულად: 1. მარო; 2. ინვირი; 3. ოქიო; 5. უარი; 6. როკერი; 7. ალჩუ; 12. ფსოუ; 14. სტიმულატორი; 15. „პერესტროიკა“; 17. იამი; 18. ბრიგადა[…] 19. ანაფორა; 21. საბრინა; 22. ითიკადი; 24. ფრე; 26. ალა; 29. იდეა; 31. ურჩი; 33. „ილიადა“; 35. რიარია; 36. შურს; 37. მური; 38. ილაო; 40. ნოხი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4–444